

ACCU-CHEK®
SmartGuide



მომხმარებლის სახელმძღვანელო

ACCU-CHEK SMARTGUIDE აპი

სარჩევი

1 წინამდებარე მომხმარებლის სახელმძღვანელოს შესახებ.....	4
2 ინფორმაცია პროდუქტის შესახებ.....	5
2.1 მიზნობრივი გამოყენება.....	5
2.2 სამიზნე მომხმარებლები.....	5
2.3 ჩვენებები, უკუჩვენებები და შეზღუდვები.....	5
2.4 მთავარი ფუნქციები.....	7
3 ზოგადი ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ.....	10
4 აპის გამოყენება.....	14
4.1 აპის გამოყენებისთვის საჭირო პირობები.....	14
4.2 აპის ინსტალაცია და დეინსტალაცია.....	14
4.3 აპის გაშვება და გათიშვა.....	15
4.4 ნავიგაციის ელემენტები.....	16
5 დაწყება.....	17
6 მობილური მოწყობილობის კონფიგურირება.....	20
6.1 ზოგადი მოთხოვნები.....	20
6.2 წვდომის დაცვა.....	20
6.3 შეტყობინებების პარამეტრები.....	21
7 სენსორის დაწყვილება.....	26
8 სენსორის კალიბრაცია.....	29
9 მთავარი ეკრანი.....	31
10 ჩანაწერების ჟურნალი.....	33
11 გრაფიკები და სტატისტიკა.....	35
11.1 გრაფიკებისა და სტატისტიკის გამოყენება.....	35
11.2 ტენდენციის გრაფიკი.....	35
11.3 დრო დიაპაზონებში.....	37
11.4 სტატისტიკა.....	38
12 სენსორის მართვა.....	41
13 თერაპიის პარამეტრები.....	42
13.1 გლუკოზის განგაშის სიგნალები.....	42
13.2 სამიზნე დიაპაზონი.....	43
13.3 საბოძი ერთეული.....	44
14 აპის პარამეტრები.....	45
14.1 სენსორის ვადის გასვლის შემახსენებლები.....	45
14.2 სენსორის განგაში კავშირის დაკარგვის თაობაზე.....	45
15 ანგარიშის პარამეტრები.....	47
16 Accu-Chek ანგარიში.....	48
16.1 ანგარიშის შექმნა.....	48
16.2 შესვლა.....	48
16.3 გამოსვლა.....	48
16.4 ანგარიშის წაშლა.....	48
17 CGM-ის მნიშვნელობების შეფასება.....	50
18 უწესივრობათა აღმოფხვრა.....	51
18.1 მოვლენათა ჟურნალი.....	51
18.2 ზოგადი უწესივრობათა აღმოფხვრა.....	51
18.3 შეტყობინებათა მიმოხილვა.....	52

18.3.1 შეცდომის შეტყობინებები.....	53
18.3.2 ტექნომოსახურების შეტყობინებები.....	53
18.3.3 გაფრთხილებები.....	54
18.3.4 ინფორმაცია.....	55
18.3.5 შემახსენებლები.....	55
19 Apple Watch-ის გამოყენება.....	56
20 სენსორის მოხსნა.....	57
21 ინფორმაცია განკარგვის შესახებ.....	58
22 მომხმარებელთა მხარდაჭერა.....	59
23 გამოშვების შენიშვნები.....	60
24 ტექნიკური მონაცემები.....	61
24.1 Accu-Chek SmartGuide აპის ტექნიკური მონაცემები.....	61
24.2 Accu-Chek SmartGuide მოწყობილობის ტექნიკური მონაცემები.....	63
25 ინფორმაცია ლიცენზიის შესახებ.....	72
26 ლექსიკონი.....	73
27 აბრევიატურები.....	75
28 აპის ხატულების ახსნა.....	76
29 სიმბოლოთა განმარტებები.....	80

აპის ყველა ფუნქციის უკეთ გაგებისათვის, ყურადღებით გაეცანით ინსტრუქციებს. თუ აპი მოლოდინისამებრ არ მუშაობს, იხილეთ მომხმარებლის სახელმძღვანელოს უნესივრობათა აღმოფხვრის განყოფილება. თუ რასაც ეძებდით კვლავაც ვერ პოულობთ, დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას.

წინამდებარე მომხმარებლის სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ფორმითაა ხაზგასმული შემდეგი ინფორმაცია:

გაფრთხილება

 **გაფრთხილება** მიაწინებს წინასწარ პროგნოზირებად სერიოზულ საფრთხეზე.

წინასწარი სიფრთხილის ზომა

 **წინასწარი სიფრთხილის ზომა** აღწერს ზომას, რომელიც პროდუქტის უსაფრთხო და ეფექტიანი ექსპლუატაციისათვის ან პროდუქტისთვის ზიანის მიყენების საპრევენციოდ უნდა მიიღოთ.

შენიშვნა

შენიშვნა შეიცავს სასარგებლო ინფორმაციასა და მითითებებს.

წინამდებარე მომხმარებლის სახელმძღვანელო შეიცავს აპისა და სენსორის გამოყენებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას, ინსტრუქციასა და ტექნიკურ მონაცემებს. სენსორის აპლიკატორის გამოყენებით სენსორის დამაგრებასთან დაკავშირებით ინფორმაციისა და ინსტრუქციებისთვის, იხილეთ შეფუთვაში არსებული Accu-Chek SmartGuide მოწყობილობასთან ერთად წარმოდგენილი ჩანართი.

2.1 მიზნობრივი გამოყენება

გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის აპის (CGM აპი) მიზნობრივი გამოყენება გულსხმობს დაკავშირებული მოწყობილობის სენსორიდან გლუკოზის მნიშვნელობების რეალურ დროში ამოკითხვასა და უწყვეტ ჩვენებას.

2.2 სამიზნე მომხმარებლები



წინასწარი სიფრთხილის ზომა

სხვადასხვა დაზიანებების მიღების რისკი

თუ თქვენ არ ხართ სამიზნე მომხმარებელი, აპლიკაციის შესაბამისი და უსაფრთხო მუშაობის გარანტირება შეუძლებელი იქნება.

- ზრდასრულ პირებს, რომელთა ასაკიც 18 წელი და მეტია
- შაქრიანი დიაბეტის მქონე პირები
- დიაბეტის მქონე პირთა დამხმარე პირებს

2.3 ჩვენებები, უკუჩვენებები და შეზღუდვები

ჩვენებები

აპი განკუთვნილია შაქრიანი დიაბეტის მქონე იმ პირების (ან მათი დამხმარე პირებისთვის), რომლებიც მოიხმარენ Accu-Chek SmartGuide მოწყობილობას.

უკუჩვენებები

აპი

რაიმე ცნობილი უკუჩვენება არ ფიქსირდება.

სენსორი

- დაუშვებელია ამ მოწყობილობის ავადმყოფობის კრიტიკული ფაზის მქონე პაციენტებისა თუ დიალიზზე მყოფი პაციენტებისათვის გამოყენება.
- სპეციალურ გარემოებში შესვლის წინ საჭიროა სენსორის მოხსნა (IEC 60601-1-2-ის მიხედვით). სპეციალურ გარემოებს განეკუთვნება სამხედრო ზონები, მძიმე მრეწველობის ზონები და სამედიცინო დაწესებულებები მძლავრი სამედიცინო ელექტრული აღჭურვილობით (როგორიცაა მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია (MRI), კომპიუტერული ტომოგრაფია (CT), რენტგენი, რადიოთერაპია ან დიათერმია).

შეზღუდვები

აპი

- აპი სენსორთან კომუნიკაციას **Bluetooth® Low Energy** ტექნოლოგიის გამოყენებით ამყარებს. 5.0 ვერსიამდელი Bluetooth Low Energy ვერსიების მხარდამჭერი მოწყობილობები შესაძლოა არ იყოს თავსებადი.
- მომხმარებელი განგაშის სიგნალს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სენსორი აპთან იქნება დაკავშირებული, ხოლო შეტყობინებები მომხმარებლის მიერ იქნება გააქტიურებული.

- აპი არაა შექმნილი ისეთი პირების მიერ გამოსაყენებლად, რომელთაც მობილურ მოწყობილობაზე ნაჩვენები ინფორმაციის წაკითხვა არ შეუძლიათ.
- აპი არ უზრუნველყოფს რაიმე სახის სამედიცინო რჩევის გაცემას.
- უპირველეს ყოვლისა, აპი განგაშის სიგნალის შესახებ ხმის საშუალებით გატყობინებთ. გარდა ამისა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შეტყობინების სხვა მეთოდები, როგორიცაა, მაგალითად, ტაქტილური ან ვიბრალური შეტყობინებები. თუ გაქვთ სმენასთან დაკავშირებული პრობლემები ან სრულებით არ გაქვთ სმენა, შეტყობინებებისადმი თქვენი გაცნობიერებულობა შეზღუდული იქნება. მსგავს შემთხვევებში, განგაშისთვის გამოიყენეთ შეტყობინების ის მეთოდი, რომელიც თქვენთვის ყველაზე მეტად მოსახერხებელია.
- განგაშის სისტემის შეზღუდვებიდან გამომდინარე, განგაშის შეტყობინება ყველა შემთხვევაში ვერ იქნება გარანტირებული. **ნუ** დაეყრდნობით მხოლოდ განგაშის სიგნალებს. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა გამოგეპაროთ სისხლში დაბალი და/ან მაღალი გლუკოზის შემცველობა. რეგულარულად გახსენით აპი გლუკოზის დონეების შესამოწმებლად, თქვენი სამედიცინო დარგის სპეციალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ან თუ გრძნობთ რომ გლუკოზის დონე დაბალი ან მაღალია. არასოდეს მოახდინოთ სისხლში დაბალი ან მაღალი გლუკოზის სიმპტომების იგნორირება.
- განგაშის სიგნალებს აპი სენსორის მიერ წარმოდგენილი CGM-ის მნიშვნელობების საფუძველზე გამოსცემს. სენსორის ტენდენციის რეჟიმში ყოფნისას CGM-ის მნიშვნელობები შესაძლოა ნაკლებად ზუსტი იყოს. შედეგად, განგაშის სიგნალები შესაძლოა მაშინაც გააქტიურდეს, როდესაც გლუკოზის ჭეშმარიტი მნიშვნელობა ნორმის ფარგლებშია. აგრეთვე, შესაძლებელია ისიც, რომ გლუკოზის ჭეშმარიტი მნიშვნელობის მატების ან შემცირების შემთხვევაში არავითარი განგაშის სიგნალი არ გაისმას.
- აპი აჩვენებს სენსორის მიერ წარმოდგენილ CGM-ის მნიშვნელობებს. სენსორის ტენდენციის რეჟიმში ყოფნისას აღნიშნული CGM-ის მნიშვნელობები შესაძლოა ნაკლებად ზუსტი იყოს. მიჰყევით სენსორთან ერთად მოწოდებულ გამოყენების ინსტრუქციებს.

სენსორი

- სენსორის მიერ გაზომილი ინტერსტიციული სითხის გლუკოზის დონეები შესაძლოა სისხლში გლუკოზის რეალურ დონეს არ ასახავდეს. აღნიშნული შესაძლოა ორგანიზმში გლუკოზის დონეების სწრაფი შემცირებისა თუ მომატების დროს დაფიქსირდეს. ინტერსტიციული სითხის გლუკოზის დონეები შესაძლებელია სისხლში რეალური გლუკოზის დონეებზე მაღალი ან დაბალი იყოს. მსგავსი პერიოდების ამოცნობა აპის მთავარ ეკრანზე წარმოდგენილი ტენდენციის ისრებისა მთავარი გრაფიკის ნახვით იყოს შესაძლებელი. მსგავს შემთხვევებში, თერაპიის თაობაზე გადაწყვეტილებების, როგორიცაა ინსულინის დოზირება, საფუძველი სისხლში გლუკოზის საზომით მიღებული სისხლში გლუკოზის დამატებითი შედეგები უნდა იყოს.
- თუ CGM-ის მნიშვნელობა თქვენს სიმპტომებს არ ემთხვევა, მნიშვნელობა სისხლში გლუკოზის საზომით ჩატარებული სისხლში გლუკოზის ტესტით უნდა დადასტურდეს.
- სენსორი მხოლოდ ზედა მხრის მითითებულ განთავსების ადგილზე უნდა მოთავსდეს. სხვა შემთხვევაში, პაციენტის უსაფრთხოება და CGM მონაცემების სიზუსტე გარანტირებული ვერ იქნება.
- სენსორს შეუძლია მობილური მოწყობილობისთვის ინფორმაციის 10 მეტრის დიაპაზონში (პირდაპირი ხედვის არეში) გაგზავნა. მობილური მოწყობილობისა და თქვენი გარემოს (მაგ. ახლომდებარე სხვა მოწყობილობები) შესაბამისად, რეალური დიაპაზონი შესაძლოა შემცირდეს.
- თქვენი სენსორის აპის მიერ მოთხოვნილი დაკალიბრების შემდეგ, CGM-ის მნიშვნელობები გამოიყენეთ მხოლოდ თერაპიის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, როგორიცაა ინსულინის დოზირება. იხილეთ თავი **სენსორის კალიბრაცია**.
- მაინტერფერირებული ნივთიერებების მიღებამ შესაძლოა მაინსწორად გაზარდოს CGM-ის მნიშვნელობა, რომლის გამოც შესაძლოა მწვავე ჰიპოგლიკემიის მოვლენა თვალსაწიერიდან გამოგრჩეთ. თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმე მაინტერფერირებული ნივთიერებას იღებთ, აღნიშნულის თაობაზე კონსულტაციისთვის სამედიცინო დარგის სპეციალისტს მიმართეთ. მაინტერფერირებული ნივთიერებების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ თავში **Accu-Chek SmartGuide მოწყობილობის ტექნიკური მონაცემები**.

2.4 მთავარი ფუნქციები

რეალური დროის CGM-ის მნიშვნელობები

CGM-ის მნიშვნელობებზე რეალურ დროში, პირდაპირ თქვენს მობილურ მოწყობილობასა თუ თქვენს Apple Watch-ზე წვდომა. გამოიყენეთ იმ სენსორთან დაკავშირებული აპი, რომელიც თქვენი მკვლავის ზედა ნაწილზე გაქვთ დამაგრებული. აპი სენსორთან კომუნიკაციას Bluetooth Low Energy-ის გამოყენებით ამყარებს. სენსორი CGM-ის მნიშვნელობას აპს ყოველ 5 წუთში უგზავნის. თითოეული სენსორის ტარების დრო მაქსიმუმ 14 დღეს შეადგენს და იგი სისხლში გლუკოზის საზომის გამოყენებით დაკალიბრებას საჭიროებს, რათა მისი გამოყენება CGM-ის მნიშვნელობათა თერაპიის თაობაზე იმგვარი გადაწყვეტილების

მიღებისთვის იყოს შესაძლებელი, როგორიც, მაგალითად, ინსულინის დოზირებაა. 14 დღის შემდეგ სენსორი უნდა მოხსნათ. სენსორი ახლით ჩაანაცვლეთ.

მთავარი ეკრანი

მთავარ ეკრანზე აისახება მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც თქვენი დიაბეტის მართვაში დაგეხმარებათ, როგორიცაა თქვენი გლუკოზის მიმდინარე მნიშვნელობები და ტენდენციები. თქვენი ჩანაწერების ჟურნალის უახლესი ჩანაწერის სერინშოტი საშუალებას გაძლევთ თვალი ადევნოთ ინსულინის ბოლო ინექციებს, ნახშირწყლების მიღებასა თუ პერსონალურ ჩანაწერებს. აღნიშნული ინფორმაცია დაგეხმარებათ თქვენი გლუკოზის მართვის ოპტიმიზაციის კუთხით საჭირო ქმედებათა განხორციელებაში, რის შედეგადაც მიიღებთ უკეთეს გადაწყვეტილებებს თერაპიის თაობაზე, როგორიც, მაგალითად ინსულინის დოზირებაა.

გრაფიკები და სტატისტიკა

გლუკოზის ისტორიული მნიშვნელობების გადახედვა დაგეხმარებათ პატერნებისა თუ იმ ფაქტორთა იდენტიფიცირებაში, რომელიც გლუკოზის მართვაზე გავლენას ახდენს. ეს გაძლევთ გაუმჯობესების პოტენციური არეების იდენტიფიცირების საშუალებას.

- ტენდენციის გრაფიკი წარმოგიდგენთ გასული 6, 12 და 24 საათის განმავლობაში თქვენი გლუკოზის მნიშვნელობებსა და ჩანაწერების ჟურნალის აქტივობებს.
- გრაფიკი: დრო დიაპაზონებში — 5 დიაპაზონითაა წარმოდგენილი და იგი გთავაზობთ გასული 7, 14 და 28 დღის მანძილზე, დროის იმ პროცენტულ მაჩვენებელთა შეჯამებას, როდესაც თქვენი გლუკოზის მნიშვნელობები აღნიშნულ დიაპაზონთა ფარგლებში ნარჩუნდებოდა (მათ შორის თქვენი პერსონალური სამიზნე დიაპაზონი). დიაპაზონები თქვენ მიერ აპის თერაპიის პარამეტრებში განვრჩილი პარამეტრების მიხედვითაა პერსონალიზებული.
- გლუკოზის მართვის ინდიკატორი (GMI) მიახლოებით განსაზღვრავს ლაბორატორიული HbA1c-ის მოსალოდნელ დონეს. HbA1c-ის დონე ინფორმაციას თქვენი საშუალო გლუკოზის დონეების შესახებ დროის ხანგრძლივი პერიოდისთვის განვლით.

განგაშის სიგნალები

როდესაც განგაშის სიგნალები ჩართულია, თქვენი გლუკოზის მნიშვნელობის განსაზღვრულ ზღვრებთან შედარებით დაცემისა თუ გადაჭარბების შემთხვევაში, გაისმება განგაშის სიგნალი. ძალიან დაბალი გლუკოზის განგაშს იღებთ მაშინ, როდესაც თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა 54 მგ/დლ-ს (3,0 მმოლ/ლ-ს) ჩამოსცდება. აპი მოგთხოვთ საჭირო მოქმედების განხორციელებას, როგორც ეს თქვენი სამედიცინო დარგის სპეციალისტის მიერაა რეკომენდებული. თუ არ გსურთ ამ განგაშის სიგნალების მიღება, შეგიძლიათ გათიშოთ განგაშის სიგნალები.

მორგებადი პარამეტრები

მორგებადი პარამეტრების მეშვეობით მოახდინეთ თქვენი პერსონალური საჭიროებებისა და პრეფერენციების დაკმაყოფილება. დაარეგულირეთ გლუკოზის სამიზნე დიაპაზონი, ძალიან მაღალი და დაბალი გლუკოზისათვის განკუთვნილი განგაშის სიგნალთა ზღვრები, შემახსენებლები და სხვა პარამეტრები.

აპი

 გაფრთხილება**თერაპიის თაობაზე არასწორი გადაწყვეტილებების მიღების რისკი**

ნუ ეცდებით ნებისმიერი არ არსებული CGM მონაცემის მიახლოებით შეფასებას ან ვარაუდის გამოთქმას. ნებისმიერი არ არსებული CGM მონაცემის მიახლოებით შეფასებამ ან ვარაუდის გამოთქმამ შესაძლოა გამოიწვიოს თერაპიის თაობაზე არასწორი გადაწყვეტილებების მიღება, მაგალითად ინსულინის დოზირების შესახებ.

CGM მონაცემების არარსებობის შემთხვევაში, დარწმუნდით, რომ აპი სწორადაა დაყენებული და რომ თქვენი სენსორი და მობილური მოწყობილობა ერთმანეთს უკავშირდება. აპისა და სენსორის სწორედ დაყენების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ თავი **დანყება**. თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ აპი თუ სენსორის სწორედ მუშაობს, თქვენი გლუკოზის შესამოწმებლად გამოიყენეთ ალტერნატიული მეთოდი და დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას.

 გაფრთხილება**სერიოზული ზიანის რისკი**

კომპონენტთა მოდიფიკაციამ ან გამოყენების ინსტრუქციის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა, აპის არასწორი მუშაობა გამოიწვიოს.

ყურადღებით გაეცანით და მიჰყევით გამოყენების ინსტრუქციას.

 წინასწარი სიფრთხილის ზომა**სერიოზული ზიანის რისკი**

თქვენი დიაბეტის მართვასა თუ ზოგად თერაპიაში ცვლილებები მხოლოდ სამედიცინო დარგის სპეციალისტმა უნდა შეიტანოს.

თერაპიის შესახებ კითხვების არსებობის შემთხვევაში მიმართეთ თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტს.

 წინასწარი სიფრთხილის ზომა**CGM მონაცემთა მიუწვდომლობის რისკი**

აპმა შესაძლოა, ყოველთვის ვერ შეძლოს გლუკოზის მნიშვნელობათა ჩვენება. აქ ორი მაგალითია წარმოდგენილი:

- თუ მობილური მოწყობილობის ბატარეა ბოლომდე დამუდარი.
- თუ დაკარგეთ თქვენი მობილური მოწყობილობა.

დარწმუნდით, რომ გლუკოზის შესამოწმებლად ალტერნატიულ მეთოდებზე გაქვთ წვდომა.

⚠️ წინასწარი სიფრთხილის ზომა**დაკალიბრების არასწორი მნიშვნელობების რისკი**

მაგალითად, ბავშვებმა ან სხვა პირებმა შესაძლოა შეცდომით დაამატონ დაკალიბრების მნიშვნელობები. დაკალიბრების არასწორმა მნიშვნელობებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სენსორის მიერ მოწოდებულ CGM მონაცემებზე. აპზე მესამე პირთა მიერ წვდომის მიღების პრევენციისთვის, მიჰყევით მონაცემთა დაცვის ინსტრუქციებს. იხილეთ განყოფილება **წვდომის დაცვა**.

⚠️ წინასწარი სიფრთხილის ზომა**სერიოზული ზიანის რისკი**

მობილური მოწყობილობები სპეციალიზებულ სამედიცინო მოწყობილობებს არ წარმოადგენს. გამოიყენეთ მხოლოდ აპთან თავსებადი მობილური მოწყობილობები. იხილეთ თავი **Accu-Chek SmartGuide აპის ტექნიკური მონაცემები**. აპი არ ამუშაოთ არათავსებად მობილურ მოწყობილობებზე ან მოწყობილობებზე, რომლებშიც ჩარევა ფიქსირდება. ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით თქვენი მობილური მოწყობილობის მწარმოებელს.

⚠️ წინასწარი სიფრთხილის ზომა**თერაპიის თაობაზე არასწორი გადაწყვეტილებების მიღების რისკი**

თქვენი გლუკოზის შესამოწმებლად ყოველთვის ხელმისაწვდომად გქონდეთ სხვა ალტერნატიული მეთოდები. მობილური მოწყობილობის დაკარგვისა თუ სისტემის მუშაობის ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, თქვენი გლუკოზის შესამოწმებლად მიმართეთ ალტერნატიულ მეთოდს.

თქვენი მობილური მოწყობილობისთვის გარემოს პირობების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ მობილური მოწყობილობის მომხმარებლის სახელმძღვანელო ან მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემა (OS).

ნებისმიერი ის პირი, რომელიც სამედიცინო ელექტრონულ აღჭურვილობასთან დამატებით აღჭურვილობას აკავშირებს, ახდენს სამედიცინო სისტემის კონფიგურირებას და მაშასადამე, წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს მასზე, რომ სისტემა სამედიცინო ელექტრული სისტემების მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

თქვენი მობილური მოწყობილობა შესაბამის IEC ან ISO სტანდარტებს (მაგალითად, IEC 60950 ან IEC 62368) უნდა აკმაყოფილებდეს. კონფიგურაციები უნდა შეესაბამებოდეს სამედიცინო ელექტრული სისტემების მოთხოვნებს (IEC 60601-1-ის უახლესი მოქმედი ვერსიისთვის, იხილეთ პუნქტი 16). ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით თქვენი მობილური მოწყობილობის მწარმოებელს.

აპი მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ უნდა იქნას გამოყენებული.

აპის გამოყენებამდე შეამოწმეთ თქვენი მობილური მოწყობილობის პარამეტრები. მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესაბამისად გახმოვანებისთვის საჭიროა აპის ხმის გააქტიურება. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, გამოგრჩეთ ინფორმაცია.

მოწყობილობის შრიფტის ნაგულისხმები ზომისგან განსხვავებული ზომების გამოყენებამ შესაძლოა შედეგად გამოიწვიოს ის, რომ აპმა დანიშნულებისამებრ ვერ შეძლოს მუშაობა.

სენსორი

მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მოწყობილობასთან ერთად მოწოდებულ შეფუთვაში არსებულ ჩანართში უსაფრთხოების შესახებ ყველა ინფორმაცია.

წინასწარი სიფრთხილის ზომა

სერიოზული ზიანის რისკი

გადაწყვეტილებები თერაპიის თაობაზე, როგორიცაა ინსულინის დოზირება, მიიღეთ მხოლოდ გლუკოზის მიმდინარე რამდენიმე მნიშვნელობასა და მათი ცვლილების ტენდენციების შესაბამისად. აპის მიერ ნაჩვენები გლუკოზის მნიშვნელობები შესაძლოა, ყოველთვის ზუსტი არ იყოს. თერაპიის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, როგორც მაგალითად ინსულინის დოზირებაა, ყოველთვის შეამოწმეთ აპის ტენდენციის გრაფიკი. თერაპიის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორიცაა მაგალითად ინსულინის დოზირება, ყოველთვის გაითვალისწინეთ ჯანმრთელობის თქვენი ამჟამინდელი მდგომარეობა და ფიზიკური აქტივობის დონეები.

ნუ მოახდენთ ჰიპოგლიკემიისა თუ ჰიპერგლიკემიის სიმპტომთა იგნორირებას. თერაპიაში მნიშვნელოვან თვითნებურ ცვლილებებს ნუ შეიტანთ. თუ ნაჩვენები გლუკოზის მნიშვნელობა არ ემთხვევა თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობას:

- 1 თქვენი გლუკოზის შესამოწმებლად მიმართეთ ალტერნატიულ მეთოდს.
- 2 თუ თქვენი სიმპტომები კვლავ არ შეესაბამება თქვენი გლუკოზის მნიშვნელობას, მიმართეთ სამედიცინო დარგის სპეციალისტს.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ განყოფილება **ზოგადი უნესივრობათა აღმოფხვრა.**

წინასწარი სიფრთხილის ზომა

სერიოზული ზიანის რისკი

დაზიანებული სენსორი შესაძლოა სწორედ არ მუშაობდეს.

თუ სენსორზე განხორციელდა რაიმე სახის ზემოქმედება, მაგალითად, თუ მოხვდა ბურთი, ვიბრალურად დაათვალიერეთ სენსორი და შეამოწმეთ იგი დაზიანებებზე. ნებისმიერი არაბუნებრივი რამის შემჩნევის შემთხვევაში, მოაცილეთ სენსორი და გამოიყენეთ ახალი.

⚠️ შინასწარი სიფრთხილის ზომა**სერიოზული ზიანის რისკი**

მობილური მოწყობილობა ამუშავებთ მხოლოდ იმ ფორმით, რა ფორმითაც მწარმოებლის მიერაა მითითებული (მაგალითად, არ გამოიყენოთ დაზიანებული ან მანიპულირებული მოწყობილობა). ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით თქვენი მობილური მოწყობილობის მწარმოებელს.

დარწმუნდით, რომ დაბალი ან ძალიან მაღალი გლუკოზის არც ერთი ეპიზოდი არ გამოგრჩენიათ. რეგულარულად გახსენით აპი გლუკოზის დონეების შესამოწმებლად, თქვენი სამედიცინო დარგის სპეციალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ან თუ გრძნობთ რომ გლუკოზის დონე დაბალი ან მაღალია. არასოდეს მოახდინოთ სისხლში დაბალი ან მაღალი გლუკოზის სიმპტომების იგნორირება.

ჩვეულებრივად დაიცავით ჰიგიენა, თუმცა სენსორი საპნისა და შამპუნის ჭარბ ოდენობასთან კონტაქტს მოაჩივრებთ. სენსორის სისუფთავის შესანარჩუნებლად საპნის მხოლოდ მინიმალური ოდენობა გამოიყენეთ.

სენსორსა თუ განთავსების ადგილზე ნუ დაიტანთ კანის მოვლისა თუ ჰიგიენურ პროდუქტებს (მწერების საწინააღმდეგო საშუალებას, მზისგან დამცავს და ა.შ.). ამ პროდუქტებმა შესაძლოა სენსორი ან წებოვანი პლასტიკი დააზიანოს.

თქვენმა სხეულმა შესაძლოა მოახდინოს სენსორზე ან წებოვან პლასტიკზე რეაგირება. განთავსების ადგილი რეგულარულად შეამოწმეთ კანის გაღიზიანებაზე ან ანთებაზე. ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ან თუ განთავსების ადგილზე დაფიქსირდება ანთება ან კანის ლოკალიზებული რეაქციები (მაგ., ალერგიული რეაქცია, ეგზემა), დაუყოვნებლივ მოხსენით სენსორი და მიმართეთ თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტს.

თუ წებოვანი პლასტიკის გარეთა კიდეები კანიდან ოდნავ აიწევა, სენსორი კვლავ გამართულად იმუშავებს. თუმცა, თუ სენსორის ქვემოთ არსებული წებოვანი პლასტიკის ნებისმიერი ნაწილი კანიდან აიწევა, ნუ ეცდებით სენსორის ახლიდან დამაგრებას ან სენსორის კანზე დაწებებას. ახლიდან მოთავსებულმა სენსორმა შესაძლოა გამართულად არ იმუშაოს. სანაცვლოდ, განათავსეთ ახალი სენსორი.

სენსორის ჩამოვარდნის შემთხვევაში, გამოყენებულ სენსორს ახლიდან ნუ დაიმაგრებთ. ახლიდან მოთავსებულმა სენსორმა შესაძლოა გამართულად არ იმუშაოს. სანაცვლოდ, განათავსეთ ახალი სენსორი.

4.1 აპის გამოყენებისთვის საჭირო პირობები

სავალდებულო მარაგები

- დაგჭირდებათ Accu-Chek SmartGuide მოწყობილობა, რომელიც შედგება აპლიკატორისა და სენსორისაგან. მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მოწყობილობასთან ერთად მოწოდებულ შეფუთვაში არსებულ ჩანართში უსაფრთხოების შესახებ ყველა ინფორმაციას.
- აპის გასაშვებად iOS ან Android ოპერაციული სისტემის მქონე მობილური მოწყობილობა დაგჭირდებათ. თავსებადი მობილური მოწყობილობების შესახებ მეტი ინფორმაციისათვის, შეეხეთ <https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html>.

სავალდებულო ანგარიშები

- iOS მოწყობილობებზე აპის ჩამოტვირთვისათვის Apple ID დაგჭირდებათ.
- Android მოწყობილობებზე აპის ჩამოტვირთვისათვის Google-ის ანგარიში დაგჭირდებათ.
- აპის დასაყენებლად Accu-Chek-ის ანგარიში დაგჭირდებათ.
- Accu-Chek-ის ანგარიშის შესაქმნელად პერსონალური ელფოსტის მისამართი დაგჭირდებათ.

სისტემური მოთხოვნები

აპის გამოყენების უფლება გაქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია სისტემური მოთხოვნები. შეეხეთ <https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html> სისტემური მოთხოვნების სანახავად.

მობილური მოწყობილობის ახალ ოპერაციული სისტემის ვერსიაზე განახლებამდე, დარწმუნდით, რომ აპი ახალ ოპერაციული სისტემის ვერსიასთან თავსებადია. თუ კვლავ ორჭოფობთ, შეამოწმეთ თავსებადი მოწყობილობების ჩამონათვალი:

<https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html>.

დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას, თუ კვლავაც საჭიროებთ დახმარებას.

4.2 აპის ინსტალაცია და დეინსტალაცია

აპის ინსტალაცია

აპის მქონე მობილური მოწყობილობის გამოყენებისას, თქვენი მობილური მოწყობილობა სამედიცინო სისტემის ნაწილი ხდება. იხილეთ თავი **ზოგადი ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ**.

აპის ინსტალაციისთვის რაიმე სახის სპეციფიკური ცოდნა საჭირო არაა.

- 1 თქვენი მობილური მოწყობილობის კამერის აპით დაასკანირეთ Accu-Chek SmartGuide მოწყობილობის შეფუთვაზე მოცემული QR კოდი. თუ QR კოდის სკანირებას ვერ შეძლებთ, გადადით მისამართზე: <https://go. Roche.com/smartguideapp>.
- ✓ თქვენი მობილური მოწყობილობისთვის განკუთვნილ ჩამოტვირთვის შესაბამის გვერდზე გადამისამართდებით.
- 2 დააინსტალირეთ აპი თქვენი მობილური მოწყობილობის ინსტრუქციების შესაბამისად.
- ✓ აპი ინსტალირებულია თქვენს მობილურ მოწყობილობაზე.

აპის დეინსტალაცია

შენიშვნა

აპის დეინსტალაციის დროს მის მიერ შეგროვებული ყველა CGM მონაცემი წაიშლება.

გაითვალისწინეთ, რომ აპის გამოყენების განმავლობაში, თქვენი CGM მონაცემები ყოველთვის თქვენს Accu-Chek ანგარიშზე იგზავნება.

iOS მოწყობილობები

- 1 ხანგრძლივად შეეხეთ აპის ხატულას.
- 2 შეხებით აირჩიეთ **აპის ამოღება**.
- 3 შეხებით აირჩიეთ **აპის წაშლა**, შემდეგ დასადასტურებლად შეხებით აირჩიეთ **წაშლა**.
- ✓ აპი დეინსტალირებულია.

Android მოწყობილობები

- 1 შეხებით აირჩიეთ **Play Store**.
- 2 შეეხეთ ზედა მარჯვენა კუთხეში პროფილის ხატულას.
- 3 შეხებით აირჩიეთ **აპებისა და მოწყობილობების მართვა > მართვა**.
- 4 შეეხეთ აპის ხატულას.
- 5 შეხებით აირჩიეთ **დეინსტალაცია**.
- ✓ აპი დეინსტალირებულია.

4.3 აპის გაშვება და გათიშვა

აპის გაშვება

აპის გასაშვებად შეეხეთ მობილურ მოწყობილობაზე არსებული აპის ხატულას.

შენიშვნა

Android მოწყობილობებზე შეტყობინებების ბოლში შეტყობინება აპის შესახებ აისახება მანამ, სანამ იგი მუშაობს.

აპის გათიშვა

აპის გათიშვა არ არის რეკომენდებული. გათიშვის შემთხვევაში, აპი სენსორიდან გლუკოზის მნიშვნელობებს ვეღარ მიიღებს.

თუ ნამდვილად გჭირდებათ აპის გათიშვა, მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

- 1 დაიწყეთ მობილურ მოწყობილობაზე გაშვებული ყველა აპის ნახვით.
- 2 აპის გასათიშად, ეკრანს ზემოთ ასქროლეთ აღნიშნული აპი.
- ✓ აპი გათიშულია.

4.4 ნავიგაციის ელემენტები

ეკრანის ზედა ნაწილში ნაჩვენებია შემდეგი ნავიგაციის ელემენტები.

- შეხებით აირჩიეთ < წინა ეკრანზე დასაბრუნებლად.
- შეხებით აირჩიეთ X ეკრანის დასახურად.

ეკრანის ქვედა ნაწილში ნაჩვენებია შემდეგი ნავიგაციის ელემენტები.



- 1 **მთავარი** ხატულა: შეეხეთ მთავარ ეკრანზე წვდომისათვის.
- 2 **ჩანაწერების ჟურნალი** ხატულა: შეეხეთ, რათა მიიღოთ წვდომა ჩანაწერების ჟურნალზე და დაათვალიერეთ არსებული ჩანაწერების ჟურნალის ჩანაწერები.
- 3 **ჩანაწერის დამატება** ხატულა: შეეხეთ ჩანაწერების ჟურნალში ახალი ჩანაწერის დასამატებლად.
- 4 **გრაფიკების** ხატულა: შეეხეთ CGM მონაცემთა გრაფიკებსა და სტატისტიკებზე წვდომის მისაღებად.
- 5 **მენიუ** ხატულა: შეეხეთ მენიუს დამატებით ოფციებზე წვდომისათვის, როგორიცაა სენსორის პარამეტრები, თერაპიის პარამეტრები ან აპის პარამეტრები.

აპის პირველად გახსნისას, იგი კონფიგურაციის პროცესის განმავლობაში გაგინევთ დახმარებას.

ნაბიჯი 1/5-იდან

შედიით თქვენი Accu-Chek ანგარიშით ან შექმენით ახალი ანგარიში.

თქვენი Accu-Chek ანგარიშის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ თავი **Accu-Chek ანგარიში**.

ნაბიჯი 2/5-იდან

გლუკოზის მნიშვნელობებისა და ნახშირწყლების საზომი ერთეულები აპის მიერ წინასწარ არის არჩეული. წინასწარ არჩეული ერთეულები დამოკიდებულია თქვენ მიერ ანგარიშის შექმნის პროცესში არჩეულ ქვეყანაზე. **აპში საზომი ერთეულების შეცვლამდე, კონსულტაციისთვის მიმართეთ თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტს.**

აირჩიეთ იგივე საზომი ერთეული, რომელიც სისხლში გლუკოზის თქვენი საზომის მიერ გლუკოზის მნიშვნელობებისთვის გამოიყენება. შეგიძლიათ, აირჩიოთ შემდეგი მნიშვნელობებიდან ერთ-ერთი:

- მგ/დლ
- მმოლ/ლ

აირჩიეთ ის საზომი ერთეული, რომელსაც ნახშირწყლების დასათვლელად იყენებთ. შეგიძლიათ, აირჩიოთ შემდეგი მნიშვნელობებიდან ერთ-ერთი:

- გ (გრამი)
- BE (პურის ერთეული, 1 BE უდრის 12 გ-ს)
- KE (ნახშირწყლების ერთეული, 1 KE უდრის 10 გ-ს)
- CC (ნახშირწყლების არჩევანი, 1 CC უდრის 15 გ-ს)

შენიშვნა

საზომი ერთეულების შერჩევას **მხოლოდ ერთხელ** შეძლებთ. თუ შეცდომით არასწორი საზომი ერთეული აირჩიეთ, აპის დეინსტალაცია და მისი ახლიდან ინსტალაცია დაგჭირდებათ. აპის ახლიდან გაშვების შემთხვევაში შეძლებთ საზომი ერთეულების თავიდან არჩევას.

შეხებით აირჩიეთ **შემდეგი** გასაგრძელებლად.

ნაბიჯი 3/5-იდან

შეიყვანეთ ზედა და ქვედა მნიშვნელობები სამიზნე დიაპაზონისთვის. აღნიშნული მნიშვნელობები გრაფიკებისა და სტატისტიკისთვის გამოიყენება.

სამიზნე დიაპაზონი წარმოადგენს დიაპაზონს, რომლის ფარგლებშიც უნდა იყოს თქვენი გლუკოზის მნიშვნელობები. აპის გრაფიკებში, სამიზნე დიაპაზონი მწვანე არედაა ნაჩვენები.

თითოეული პირისთვის სამიზნე დიაპაზონი შესაძლოა განსხვავდებოდეს. თქვენი ინდივიდუალური სამიზნე დიაპაზონის პარამეტრები განიხილეთ სამედიცინო დარგის სპეციალისტთან.

შენიშვნა

სამიზნე დიაპაზონის მნიშვნელობები არ იწვევს განგაშის სიგნალებსა თუ შეტყობინებებს.

ნაგულისხმევი სამიზნე დიაპაზონის მნიშვნელობები

ზედა სამიზნე მნიშვნელობა	ქვედა სამიზნე მნიშვნელობა
180 მგ/დლ ან 10,0 მმოლ/ლ	70 მგ/დლ ან 3,9 მმოლ/ლ

შეხებით აირჩიეთ **შემდეგი** გასაგრძელებლად.

ნაბიჯი 4/5-იდან

შეიყვანეთ თქვენი ზღვრები ძალიან მაღალი და დაბალი გლუკოზის განგაშის სიგნალებისთვის. აპს შეუძლია, გაგაფრთხილოთ, თუ თქვენი გლუკოზის მნიშვნელობები ზედმეტად მაღალი ან ზედმეტად დაბალია. გლუკოზის ყველა განგაში ნაგულისხმევად აქტიურია, მაგრამ მათი გამორთვა აპის მენიუდან შეგიძლიათ.

ნაგულისხმევი გლუკოზის განგაშები

ძალიან მაღალი გლუკოზის განგაში	დაბალი გლუკოზის განგაში
250 მგ/დლ ან 13,9 მმოლ/ლ	70 მგ/დლ ან 3,9 მმოლ/ლ

თქვენი უსაფრთხოების მიზნით, ძალიან დაბალი გლუკოზის ზღვრის რედაქტირება შეუძლებელია. ძალიან დაბალი გლუკოზის ზღვარი არის 54 მგ/დლ ან 3,0 მმოლ/ლ.

შეხებით აირჩიეთ **შემდეგი** გასაგრძელებლად.

ნაბიჯი 5/5-იდან

გლუკოზის ყველა განგაში ნაგულისხმევად აქტიურია, მაგრამ მათი გამორთვა აპის მენიუდან შეგიძლიათ. იმაში დასარწმუნებლად, რომ გლუკოზის მნიშვნელობებსა და შეტყობინებებს მიიღებთ, გაეცანით, როგორ მუშაობს თქვენი მობილური მოწყობილობა და რეგულარულად შეამოწმეთ მისი პარამეტრები:

- CGM აპი მუშაობს.
- აპის შეტყობინებები ჩართულია.
- ენერგიის დაზოგვის რეჟიმები გამორთულია.
- ხმა მაღალია.
- ზარი ჩართულია.
- „არ შემანუხო“ ან ფოკუსი გამორთულია.
- ფრენის რეჟიმი გამორთულია.
- Bluetooth სერვისი ჩართულია.
- თქვენი მობილური მოწყობილობა ახლოს არის.

თქვენი მობილური მოწყობილობის სწორი კონფიგურირებისთვის მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ თავი **მობილური მოწყობილობის კონფიგურირება**.

შეხებით აირჩიეთ **გასაგებია** გასაგრძელებლად.

iOS მოწყობილობები

თუ iOS მოწყობილობებს იყენებთ, მიიღებთ შეკითხვას შინაარსით: აქვს თუ არა აპს შეტყობინებათა გაგზავნის უფლება. თუ აპს არ შეუძლია შეტყობინებების გაგზავნა, აპის ყველა შეტყობინება და განგაშის სიგნალი დაიბლოკება.

▶ შეხებით აირჩიეთ **დაშვება**.

დაგისვამთ კითხვას, დაშვებულია თუ არა აპის მიერ კრიტიკული გაფრთხილებების გაგზავნა. თუ ხარი გათიშული გაქვთ, კრიტიკული გაფრთხილებების ფუნქცია გავლენას მოახდენს განგაშის სიგნალების ხმაზე. თუ აპს არ შეუძლია კრიტიკული გაფრთხილებების გაგზავნა, თქვენს მობილურ მოწყობილობაზე „არ შემანუხო“ ან „ფოკუსი“ რეჟიმის ჩართვისას, აპის ყველა შეტყობინებისა და განგაშის სიგნალის ხმა გაითიშება.

1 შეხებით აირჩიეთ **შემდეგი**.

2 შეხებით აირჩიეთ **დაშვება**.

საჭიროებისამებრ, აღნიშნული პარამეტრების შეცვლას მოგვიანებითაც შეძლებთ. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ თავი **მობილური მოწყობილობის კონფიგურირება**.

Android მოწყობილობები

თუ Android მოწყობილობებს იყენებთ, შესაძლოა, მიიღოთ შეკითხვა შინაარსით: აქვს თუ არა აპს თქვენთვის შეტყობინებათა გამოგზავნის უფლება. თუ აპს არ აქვს თქვენთვის შეტყობინებების გამოგზავნის უფლება, „არ შემანუხო“-ს იგნორირებას ველარ შეძლებთ.

▶ შეხებით აირჩიეთ **დაშვება**.

დაგისვამთ კითხვას, დაშვებულია თუ არა აპის ფონურ რეჟიმში მუშაობა. თუ აპის ფონურ რეჟიმში მუშაობა დაშვებული არ არის, შესაძლოა გლუკობის მნიშვნელობები, შეტყობინებები თუ განგაშის სიგნალები ვერ მიიღოთ.

▶ შეხებით აირჩიეთ **დაშვება**.

დაგისვამთ კითხვას, შეუძლია თუ არა აპს „არ შემანუხო“-ს იგნორირება. თუ აპს არ შეუძლია „არ შემანუხო“-ს იგნორირება, თქვენს მობილურ მოწყობილობაზე „არ შემანუხო“ რეჟიმის ჩართვისას, აპის ყველა შეტყობინებისა და განგაშის სიგნალის ხმა გაითიშება.

1 შეხებით აირჩიეთ **შემდეგი**.

2 ჩართეთ **„არ შემანუხო“-ს იგნორირება**.

მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემის ვერსიისა და მწარმოებლის მიხედვით, აღნიშნული პარამეტრი შესაძლოა განსხვავდებოდეს. მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ თქვენი მობილური მოწყობილობის მომხმარებლის სახელმძღვანელო.

საჭიროებისამებრ, აღნიშნული პარამეტრების შეცვლას მოგვიანებითაც შეძლებთ. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ თავი **მობილური მოწყობილობის კონფიგურირება**.

6.1 ზოგადი მოთხოვნები

მობილურ მოწყობილობაზე ზრუნვა

სენსორთან კომუნიკაციამ შესაძლოა გაზარდოს თქვენი მობილური მოწყობილობის ბეტარეის მოხმარება. დარწმუნდით, რომ ახლოს გაქვთ მობილური მოწყობილობის დასამუხტი საშუალებები.

სენსორსა და აპს შორის კავშირის ხშირმა გაწყვეტამ შესაძლოა სენსორის ბატარეის მდგომარეობა გააუარესოს. სენსორი და მობილური მოწყობილობა ერთმანეთთან ახლოს იქონიეთ.

აპს ნუ გამოიყენებთ დაბზარული ან დაზიანებული ეკრანის მქონე მობილურ მოწყობილობაზე. თუ ეკრანი დაბზარული ან დაზიანებულია, შესაძლოა მასზე ნაჩვენები ყველა ელემენტის ხილვა ვერ შეძლოთ. აპი გამოიყენეთ მხოლოდ შესაბამისად ფუნქციონირებად მობილურ მოწყობილობაზე.

აპი მხოლოდ სანდო მობილურ მოწყობილობებზე გამოიყენეთ. მაგნე მოწყობილობებმა შესაძლოა შეძლონ მონაცემთა წაკითხვა და მათი CGM აპსა და სენსორს შორის გაგზავნა. მაგნე მოწყობილობამ CGM აპზე შესაძლოა აგრეთვე უარყოფითად იმოქმედოს.

იმავე მობილურ მოწყობილობაზე გაუშვით მხოლოდ ის აპლიკაციები, რომლებიც სანდო წყაროებიდანაა ჩამოტვირთული. Bluetooth წვდომის უფლებები მხოლოდ სანდო აპლიკაციებს მიაწეეთ, ვინაიდან მაგნე მოწყობილობებმა შესაძლოა შეძლონ მონაცემთა წაკითხვა და მათი CGM აპსა და სენსორს შორის გაგზავნა.

CGM აპს ნუ გამოიყენებთ ისეთ მობილურ მოწყობილობაზე, რომელიც განატეხი ან რუტირებულია. CGM აპს ნუ გამოიყენებთ ისეთ მობილურ მოწყობილობაზე, რომელიც „დებაგინგისა“ თუ დეველოპერის რეჟიმშია. აღნიშნულმა პირობებმა შესაძლოა თქვენი მობილური მოწყობილობა უფრო მოწყვლადი გახადოს.

6.2 წვდომის დაცვა

მონაცემთა დაცვა

დაიცავით აპის მონაცემები უცხო პირთა მიერ წვდომისა თუ არასწორი გამოყენებისაგან. გამოიყენეთ მობილურ მოწყობილობაზე ან ოპერაციულ სისტემაში ხელმისაწვდომი უსაფრთხოების ფუნქციები, მაგალითად, როგორიცაა პაროლით დაცვა.

დიაბეტის შესახებ თქვენი ყველა მონაცემი ასევე დაშიფრული და დაცულია Accu-Chek-ის ანგარიშში, რომელიც Roche Diabetes Care-ის ღრუბლოვანი საცავში ინახება.

მობილური მოწყობილობის დაცვა

აპზე წვდომის მქონე ნებისმიერ პირს შეუძლია შეიყვანოს თქვენი სენსორის დაკალიბრების მნიშვნელობები და დაამუშაოს ჩანაწერების ჟურნალი თუ აპის პარამეტრები. დაკალიბრების არასწორმა მნიშვნელობებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სენსორის სიზუსტეზე.

დაიცავით აპი მასზე შესამე მხარის მიერ წვდომისაგან. წვდომის ნება დართეთ მხოლოდ სანდო დამხმარებებს.

- ნუ ათხოვებთ მობილურ მოწყობილობას სხვებს, მათ შორის ბავშვებს.
- მობილური მოწყობილობის უსაფრთხოების პარამეტრებში დააყენეთ ეკრანის დაბლოკვა.
- ეკრანის დაბლოკვა ისე დააკონფიგურირეთ, რომ არააქტიურობის გარკვეული პერიოდის შემდეგ მან ავტომატურად დაბლოკოს მობილური მოწყობილობა.

ანგარიშის დაცვა

შეინარჩუნეთ Accu-Chek-ის თქვენს ანგარიშში ინფორმაციის კონფიდენციალურობა. გარდა დამხმარეებისა, ნურავის გაუზიარებთ თქვენს ანგარიშს.

გამოდით Accu-Chek-ის ანგარიშიდან მობილური მოწყობილობის გამოცვლისა ან თქვენი მობილური მოწყობილობის გამოყენების სხვა მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში.

გამოდით Accu-Chek-ის ანგარიშიდან, თუ მობილური მოწყობილობა თქვენი სანდო დამხმარის გარდა სხვა პირს უნდა ათხოვოთ. თუმცა, ეცადეთ თავიდან აირიდოთ ამგვარი სიტუაციები. გამოსვლის შემთხვევაში, თქვენი სენსორიდან განგაშის სიგნალზე, შეტყობინებებსა და მონაცემებს აღარ მიიღებთ. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ განყოფილება **გამოსვლა**.

დაიცავით მობილური მოწყობილობა აპებისა და ოპერაციული სისტემის ცვლილებებისაგან. დარწმუნდით, რომ აპების მალაზიიდან (მაგ., App Store ან Google Play) ინსტალაციებისთვის მოითხოვება პაროლი.

Apple ან Google-ის ანგარიშზე პაროლის პარამეტრების ცვლილების შესახებ ინფორმაციისათვის, იხილეთ თქვენი ჩამოტვირთვის პლატფორმის ინსტრუქციები.

Accu-Chek ანგარიშის პაროლის პარამეტრების შესაცვლელად, გადადით: **მენიუ > ანგარიში > ანგარიშის მართვა**.

6.3 შეტყობინებების პარამეტრები

გამოშავალ შეტყობინებებსა და განგაშის სიგნალებზე შესაძლებელია რიგმა ოპერაციული სისტემის პარამეტრმა იმოქმედოს. ამგვარად, მნიშვნელოვანია თქვენს მობილურ მოწყობილობაზე აღნიშნული პარამეტრების რეგულარულად შემოწმება.

თუ თქვენ მობილურ მოწყობილობასთან, სენსორის გარდა სხვა მოწყობილობებსაც დააკავშირებთ, მაგალითად, Apple Watch-ს, ამან შესაძლოა შეტყობინებებისა და განგაშის სიგნალის პარამეტრებზე გავლენა მოახდინოს. თავდაპირველად, გაეცანით სხვა დაკავშირებულ მოწყობილობებს და დარწმუნდით, რომ წინამდებარე მომხმარებლის სახელმძღვანელოში აღწერილ შეტყობინებებსა და განგაშის სიგნალის პარამეტრებზე არაფერი მოქმედებს.

საინფორმაციო სიგნალებისა და განგაშის სიგნალების სწორად გამოცემისთვის აპი ყოველთვის გაშვებულ მდგომარეობაში უნდა იყოს. აპის ქცევა დამოკიდებულია იმაზე, აპი აქტიურია თუ ფონურად მუშაობს. როდესაც აპი გახსნილია და მას თქვენი მონაცემების გასაანალიზებლად იყენებთ, აპი ფონურ რეჟიმში მუშაობს. აპის ფონურ რეჟიმში გაშვებისას თქვენი მობილური მოწყობილობის ეკრანზე ჩნდება ყველა

საინფორმაციო სიგნალი და განგაშის სიგნალი, ხოლო რაიმე ხმა ან ვიბრაცია არ გენერირდება. ფონურ რეჟიმში მუშაობის დროს, აპი საინფორმაციო სიგნალებისა და შეტყობინებების გენერირებისთვის ოპერაციული სისტემის შეტყობინებებს იყენებს. საკმარისია, რომ აპი ფონურად მუშაობდეს, როდესაც თქვენს მობილურ მოწყობილობაზე სხვა აპს იყენებთ. შეტყობინებები აპისთვის თქვენ მიერ გაწერილი შეტყობინების პარამეტრების შესაბამისად იგზავნება. თქვენი შეტყობინებების პარამეტრები გავლენას ახდენს საინფორმაციო სიგნალებისა და განგაშის სიგნალების ვიბრაციაზე, ხმასა და ვიზუალიზაციაზე. თქვენ, თქვენი დამხმარეები ან აპის მოხმარების უფლების მქონე სხვა პირები უნდა ერკვეოდეთ შეტყობინებებისა და განგაშის სიგნალების მიღების პარამეტრებში.

შენიშვნა

მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემის ვერსიისა და მწარმოებლის მიხედვით, ზოგიერთი პარამეტრი და მათი შესაბამისი ხატულა შესაძლოა განსხვავდებოდეს.

აღნიშნული პარამეტრების შესახებ მეტი ინფორმაციისა და მათთან დაკავშირებული ხატულების შესახებ მეტის შესატყობად, იხილეთ თქვენი მობილური მოწყობილობის მომხმარებლის სახელმძღვანელო.

აპის შეტყობინებების პარამეტრები

თუ აპს არ შეუძლია შეტყობინებების გაგზავნა, აპის ყველა შეტყობინება და განგაშის სიგნალი დაიბლოკება.

- ▶ რათა დარწმუნდეთ იმაში, რომ აპს აქვს შეტყობინებებისა და განგაშის სიგნალების გაგზავნის საშუალება, თქვენი მობილური მოწყობილობის სისტემის პარამეტრებში ჩართეთ აპის შეტყობინებები.
- ▶ მეტი ინფორმაციისთვის, თუ როგორ უნდა გააკეთოთ აღნიშნული, იხილეთ თქვენი მობილური მოწყობილობის მომხმარებლის სახელმძღვანელო.

შეტყობინებებსა და განგაშის სიგნალებზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს რიგი მოვლენები; მაგალითად, თუ მობილური მოწყობილობა ან სენსორი შემთხვევით დაგივარდათ. რეგულარულად შეამოწმეთ მობილური მოწყობილობის, სენსორისა და ოპერაციული სისტემის ფუნქციონალობა. გარდა ამისა, რეგულარულად შეამოწმეთ ოპერაციული სისტემის შეტყობინების პარამეტრები.

„არ შემანუხო“ და „ფოკუსი“

როდესაც თქვენი მობილური მოწყობილობა დაბლოკილია, აპის შეტყობინებები და განგაშის სიგნალების ხმა გათიშული იქნება, თუ ჩართული იქნება „არ შემანუხო“ ან „ფოკუსი“. თუ „არ შემანუხო“ ან „ფოკუსი“ ჩართულია, ეს სტატუსის ზოლში იქნება ნაჩვენები.

- ▶ გაააქტიურეთ კრიტიკული გაფრთხილებები ან „არ შემანუხო“-ს იგნორირება, რათა დარწმუნდეთ, რომ აპის შეტყობინებებსა და განგაშის სიგნალებს მიიღებთ მაშინაც კი, როდესაც ჩართული გექნებათ „ფოკუსი“ (iOS) ან „არ შემანუხო“ (Android).
- ▶ აგრეთვე შეძლებთ Accu-Chek SmartGuide აპის ნებადართული აპების შეტყობინებების სიაში დამატებას.
- ▶ მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემის ვერსიისა და მწარმოებლის მიხედვით, აღნიშნული პარამეტრები და მათი შესაბამისი ხატულები შესაძლოა განსხვავდებოდეს. მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ თქვენი მობილური მოწყობილობის მომხმარებლის სახელმძღვანელო.

ხმა

ხმის ძალიან დაბალ დონეზე დაყენებამ შესაძლოა ხელი შეგიშალოს შეტყობინებების და აპის განგაშის სიგნალების გაგებაში. ოპერაციული სისტემის ვერსიასა და მობილური მოწყობილობის მიხედვით, ზარის მელოდიის ხმისა და შეტყობინების ხმისთვის შესაძლოა განსხვავებული პარამეტრები და ხატულები არსებობდეს.

ზოგიერთი Android მოწყობილობა დადუმების ხატულას მხოლოდ მაშინ აჩვენებს, როდესაც ზარის ხმის სიმაღლე 0-ზეა დაყენებული და არა მაშინ, როდესაც შეტყობინებების ხმა 0-ზე დაყენებული. მსგავსი მოწყობილობებისთვის, დადუმების არავითარი ხატულა არ არის ნაჩვენები, მიუხედავად იმისა, რომ განგაშის სიგნალები შესაძლოა სრულებით არ გაჟღერდეს.

- ▶ ხმის სიმაღლე ისე დააყენეთ, რომ შეძლოთ ყველა შეტყობინებისა და განგაშის სიგნალის გაგონება.
- ▶ ზოგიერთი მობილური მოწყობილობა ხმის სხვადასხვა სიძლიერის დაყენების საშუალებას გაძლევთ. შეგიძლიათ დააყენოთ გარშემო ხმაურის დონეზე მაღალი ხმა, მაგალითად, თუ გარემო ზედმეტად ხმაურიანია. დარწმუნდით, რომ გარემოში, სადაც იმყოფებით, შეძლებთ შეტყობინებების ხმის გაგებას.
- ▶ მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემის ვერსიისა და მწარმოებლის მიხედვით, აღნიშნული პარამეტრები და მათი შესაბამისი ხატულები შესაძლოა განსხვავდებოდეს. მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ თქვენი მობილური მოწყობილობის მომხმარებლის სახელმძღვანელო.

Bluetooth უსადენო ტექნოლოგია

აპი CGM სენსორთან კავშირის დამყარებას ვერ შეძლებს, თუ Bluetooth უსადენო ტექნოლოგიის მეშვეობით კომუნიკაცია გათიშულია. როდესაც Bluetooth უსადენო ტექნოლოგიის მეშვეობით კომუნიკაცია გათიშულია, ხატულა, ზოგადად, განაცრისფრებულია. მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემის ვერსიისა და მწარმოებლის მიხედვით, აღნიშნული ხატულა შესაძლოა განსხვავდებოდეს.

- ▶ დარწმუნდით, რომ აპს შეუძლია თქვენს სენსორთან კომუნიკაცია, შეამოწმეთ, ჩართულია თუ არა Bluetooth უსადენო ტექნოლოგია.
- ▶ მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემის ვერსიისა და მწარმოებლის მიხედვით, აღნიშნული პარამეტრი და მისი შესაბამისი ხატულა შესაძლოა განსხვავდებოდეს. მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ თქვენი მობილური მოწყობილობის მომხმარებლის სახელმძღვანელო.

ფრენის რეჟიმი

ფრენის რეჟიმის ჩართვის შემთხვევაში Bluetooth ავტომატურად გამოირთვება, ხოლო აპი თქვენს სენსორთან კომუნიკაციას ვერ შეძლებს. თუ ფრენის რეჟიმი ჩართულია, აღნიშნულის თაობაზე სტატუსის ზოლში იქნება მითითებული.

- ▶ იმისთვის, რომ აპმა სენსორთან კომუნიკაცია შეძლოს მაშინაც კი, როცა ფრენის რეჟიმი ჩართული, კვლავ ჩართეთ Bluetooth.
- ▶ მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემის ვერსიისა და მწარმოებლის მიხედვით, აღნიშნული პარამეტრი და მისი შესაბამისი ხატულა შესაძლოა განსხვავდებოდეს. მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ თქვენი მობილური მოწყობილობის მომხმარებლის სახელმძღვანელო.

ენერგიის დაზოგვა

როდესაც ენერგიის დაზოგვა ჩართულია მობილური მოწყობილობის ბატარეის რესურსის დასაზოგად, რიგი ფონური პროცესები გათიშულია. თუ ენერგიის დაზოგვა ჩართულია, აღნიშნულის თაობაზე სტატუსის ზოლში იქნება მითითებული. ენერგიის დაზოგვა აგრეთვე მოქმედებს თქვენს სენსორთან კომუნიკაციაზეც.

შენიშვნა

ზოგიერთი მობილური მოწყობილობის მწარმოებელი ფონურ პროცესებს მაშინაც კი გამორთავს, როდესაც ენერგიის დაზოგვა გათიშულია.

- ▶ გათიშეთ ენერგიის დაზოგვა, რათა დარწმუნდეთ რომ აპს შეუძლია თქვენს სენსორთან კომუნიკაცია.
- ▶ მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემის ვერსიისა და მწარმოებლის მიხედვით, აღნიშნული პარამეტრი და მისი შესაბამისი ხატულა შესაძლოა განსხვავდებოდეს. მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ თქვენი მობილური მოწყობილობის მომხმარებლის სახელმძღვანელო.

აქსესუარები

მობილურ მოწყობილობასთან დაკავშირებულმა აქსესუარებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს გამომავალ შეტყობინებებსა და განგაშის სიგნალებზე. მაგალითად, შემდეგ შემთხვევებში:

- **შესაძლოა შეტყობინებებისა და განგაშის სიგნალების ხმა ვერ გაიგონოთ, თუ ყურსასმენები კვლავაც დაკავშირებულია მობილურ მოწყობილობასთან, თუმცა მათ აღარ ატარებთ.**
- **ჭკვიანი საათის დაკავშირების შემდეგ, თქვენი პარამეტრები შესაძლოა შეიცვალოს.**

ისეთი აქსესუარების გამოყენებისას, როგორიცაა ყურსასმენები, დინამიკები ან ჭკვიანი საათი, დარწმუნდით, რომ კვლავ შეძლებთ აპის მიერ გენერირებული განგაშის სიგნალებისა და შეტყობინებების მიღებას.

სენსორი მობილურ მოწყობილობასთან უნდა დააწყვილოთ. სხვა შემთხვევაში, აპი სენსორიდან გლუკოზის მნიშვნელობებს ვერ მიიღებს.

სენსორი მხოლოდ დაცულ, სანდო არეში დააწყვილეთ. ამან შესაძლოა სენსორთან სხვა პირთა დაკავშირების რისკი შეამციროს.

სენსორის დაწყვილების დაწყებამდე, ლურჯი ხრახნიანი თავსახურის ქვედა ეტიკეტზე ვიხილეთ სერიული ნომერი და 6-ნიშნა PIN.

- სიტყვა „PIN“-ის გვერდით იხილეთ სენსორის 6-ნიშნა PIN.
-  ხატულას გვერდით იპოვეთ სენსორის სერიული ნომერი.

დაწყვილება მაშინაცაა შესაძლებელი, თუ უკვე დააწყვილეთ სენსორი და თუ იგი ამჟამად კვლავ აქტიურ მდგომარეობაშია. როდესაც დააწყვილებთ ახალ სენსორს, მიმდინარე სენსორის მოქმედების ვადა ამოიწურება.

აქ ნაჩვენები რიცხვები მხოლოდ მაგალითებს წარმოადგენს.



როგორ უნდა დააწყვილოთ სენსორი

ახალი სენსორის დაწყვილების დაწყება 3 სხვადასხვა გზით შეგიძლიათ:

- თუ აპთან სენსორი არასოდეს დაგიწყვილებიათ, აპი ავტომატურად აჩვენებს ახალი სენსორის დაწყვილების ვარიანტს.
- თქვენი სენსორის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, აპი ავტომატურად აჩვენებს ახალი სენსორის დაწყვილების ვარიანტს.
- თუ მიმდინარე სენსორის მოქმედების ვადის გასვლამდე გსურთ ახალი სენსორის დაწყვილება, შეხებით აირჩიეთ **მენიუ > CGM სენსორის მართვა > ახალი სენსორის დაწყვილება**.

- 1 დარწმუნდით, რომ თქვენს მობილურ მონწყობილობაზე ჩართული გაქვთ Bluetooth უსადენო ტექნოლოგიის გამოყენებით კომუნიკაცია.
- 2 თუ ეს თქვენი პირველი სენსორია, შეხებით აირჩიეთ **ახლავე დაწყვილება**. ან სენსორის გამოცვლის დროს შეხებით აირჩიეთ **ახალი სენსორის დაწყვილება**.
- 3 განათავსეთ სენსორი თქვენს სხეულზე. დახმარების საჭიროების შემთხვევაში, შეხებით აირჩიეთ **სახელმძღვანელოს ნახვა**.
- 4 შეხებით აირჩიეთ **შემდეგი**.
- 5 შეხებით აირჩიეთ **ძიება** თქვენი სენსორის მოსაძებნად.
- ✓ აპი ყველა ახლომდებარე სენსორს გიჩვენებთ, მაგრამ, ჩვეულებრივ, მხოლოდ 1 სენსორის პოვნა იქნება შესაძლებელი.
- 6 აირჩიეთ სენსორი, რომელიც ლურჯი ხრახნიანი თავსახურის ქვემოთ არსებულ სერიულ ნომერს ემთხვევა.
- 7 იპოვეთ 6-ციფრიანი PIN ლურჯი ხრახნიანი თავსახურის ქვედა ეტიკეტიდან.
- 8 შეხებით აირჩიეთ **შემდეგი**.
- ✓ გამოჩნდება Bluetooth უსადენო ტექნოლოგიის მეშვეობით დაწყვილების მოთხოვნა.
- 9 შეიყვანეთ 6-ციფრიანი PIN ლურჯი ხრახნიანი თავსახურის ქვედა ეტიკეტიდან.

შენიშვნა

- დარწმუნდით, რომ სწორად შეიყვანეთ PIN.
- PIN-ს აქვს ზუსტად 6 ციფრი. დარწმუნდით, რომ არ შეიყვანეთ სხვა ნომერი (მაგალითად, სერიული ნომერი).
- PIN არასოდეს იქნება 000000 ან 123456.
- სენსორის სერიული ნომრის არჩევის შემდეგ, შეასრულეთ თითოეული ნაბიჯი სწრაფად. შეჩერების ან დაყოვნების შემთხვევაში, შესაძლოა PIN-ის შეყვანის დრო ამოიწუროს.

- 10 შეხებით აირჩიეთ **დაწყვილება**-დაწყვილების მოთხოვნის დასადასტურებლად.

11 შეხებით აირჩიეთ კარგი.

შენიშვნა

მოთავსების შემდეგ, სენსორი CGM-ის მნიშვნელობების ჩვენებამდე კონკრეტული დროის განმავლობაში აქტიური უნდა იყოს და დაკალიბრება შესაძლებელი გახდება. ამას მომზადების დროს უწოდებენ.

- ✓ ახლა თქვენი სენსორი აპთან დანყვილებულია. ახალი სენსორის დამაგრების შემდეგ, იგი 1 საათიან მომზადების დროს საჭიროებს. აღნიშნული პერიოდის მანძილზე, აპში გლუკოზის არც ერთი მნიშვნელობა არ იქნება ნაჩვენები. თქვენი გლუკოზის შესამოწმებლად ხელმისაწვდომად გქონდეთ სხვა ალტერნატიული მეთოდი. გლუკოზის მნიშვნელობათა ჩვენებისთვის, რომლის გამოყენებაც თერაპიის თაობაზე გადაწყვეტილებების (როგორიც მაგალითად ინსულინის დოზირებაა) მისაღებადაა შესაძლებელი, აპი მომხმარებლის მიერ დაკალიბრებას საჭიროებს.

თუ აპი სენსორს ვერ პოულობს, იხილეთ განყოფილება **ზოგადი უნესივრობათა აღმოფხვრა**.

6-ნიშნა PIN დაცულ ადგილას შეინახეთ და უზრუნველყავით მისი სხვა პირთა წვდომისაგან დაცვა. აგრეთვე, შეინახეთ 6-ნიშნა PIN, იმ შემთხვევაში თუ სენსორის სხვა მობილურ მოწყობილობასთან დანყვილება დაგჭირდებათ.

სენსორის ვადის გასვლამდე ლურჯი ხრახნიანი თავსახურის გადაგდების შემთხვევაში, დარწმუნდით, რომ 6-ნიშნა PIN არ იკითხება. აღნიშნულით მცირდება თქვენი სენსორის სხვა პირის მიერ მათივე მობილურ მოწყობილობასთან დანყვილების ალბათობა.

სენსორის დაკალიბრება საშუალებას გაძლევთ, გამოიყენოთ CGM-ის მნიშვნელობები თერაპიის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორიცაა ინსულინის დოზირება და ზრდის CGM-ის მნიშვნელობების სიზუსტეს. სენსორის დაკალიბრება სისხლში გლუკოზის თქვენი საზომიდან აპში გლუკოზის მნიშვნელობის შეყვანის საშუალებით ხდება. აღნიშნულის განხორციელება აპის მიერ გამოყენების პირველი დღის განმავლობაში მოგეთხოვებათ.

CGM-ის მნიშვნელობების 2 რეჟიმია წარმოდგენილი: **ტენდენციის რეჟიმი** და **თერაპიის რეჟიმი**. რეჟიმი, რომელშიც სენსორი ამჟამად იმყოფება, მთავარ ეკრანზე პირდაპირ CGM-ის მნიშვნელობების ქვემოთაა ნაჩვენები.

როდესაც სენსორი **ტენდენციის რეჟიმშია**:

- CGM-ის მნიშვნელობები არ უნდა იქნეს გამოყენებული თერაპიის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, როგორიცაა ინსულინის დოზირება.
- CGM-ის მნიშვნელობები ტენდენციების განსაზღვრისთვის მხოლოდ ზოგადი ორიენტირის სახით შეიძლება იქნას გამოყენებული.
- თერაპიის ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორიცაა ინსულინის დოზირება, გლუკოზის საზომით სისხლში გლუკოზა შეამოწმეთ.

როდესაც სენსორი **თერაპიის რეჟიმშია**:

- CGM მნიშვნელობები შეიძლება გამოყენებულ იქნეს თერაპიის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორიცაა ინსულინის დოზირება.

სენსორის მიერ გაზომილი გლუკოზის მნიშვნელობა უფრო ზუსტია, თუ მას დროის იმ მონაკვეთში დააკალიბრებთ, როდესაც სისხლში გლუკოზის დონე შედარებით სტაბილურია.

ნუ დააკალიბრებთ მალევე **საკვების მიღების, ინსულინის შეყვანის ან სხვა ფიზიკური აქტივობის შემდეგ** და მოერიდეთ ძალიან ცხელი ან ძალიან ცივი ტემპერატურების ან სწრაფად ცვალებადი ტემპერატურების მქონე გარემოს.

დაკალიბრების რუტინა ორ ნაბიჯს მოიცავს:

1 საათიანი მომზადების დროის გასვლის შემდეგ, სენსორი **ტენდენციის რეჟიმშია** და CGM-ის მნიშვნელობებს აპს ყოველ 5 წუთში ერთხელ უგზავნის. თერაპიის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, როგორიცაა ინსულინის დოზირება, არ გამოიყენოთ აღნიშნული საწყისი CGM-ის მნიშვნელობები. სენსორის მოთავსებიდან 12 საათის შემდეგ, აპი დაკალიბრების მოთხოვნას გამოგიგზავნით.

ნაბიჯი 1: ჩაატარეთ სისხლში გლუკოზის ტესტი და გლუკოზის მნიშვნელობა აპში შეიყვანეთ. სენსორი შედის **თერაპიის რეჟიმში**. CGM-ის მნიშვნელობები ახლა შეიძლება გამოყენებულ იქნეს თერაპიის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორიცაა ინსულინის დოზირება.

ნაბიჯი 2: 30 წუთიდან 3 საათამდე დროის გასვლის შემდეგ, ჩაატარეთ სისხლში გლუკოზის კიდევ ერთი ტესტი და გლუკოზის მნიშვნელობა აპში შეიყვანეთ. აღნიშნულით დასტურდება პირველი გაზომვა. შენიშვნა: მე-2 ნაბიჯის გამოტოვების შემთხვევაში, სენსორი **ტენდენციის რეჟიმში** დაბრუნდება.

სენსორის დაკალიბრების რუტინა დასრულებულია.

სენსორის დაკალიბრებისთვის:


- 1** მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად, შეამოწმეთ სისხლში გლუკოზის დონე სისხლში გლუკოზის საზომის საშუალებით.
- 2** შეხებით აირჩიეთ **ახლავე დაკალიბრება** მთავარ ეკრანზე.
- 3** ეკრანზე **დაკალიბრება** შეიყვანეთ სისხლში გლუკოზის საზომიდან თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა. გლუკოზის მნიშვნელობა ტესტის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 წუთში უნდა იქნას შეყვანილი.
- 4** შეხებით აირჩიეთ **შენახვა**.
- 5** გადაამოწმეთ, აპში ხომ ნამდვილად შეიყვანეთ გლუკოზის იგივე მნიშვნელობა, რაც სისხლში გლუკოზის თქვენს საზომზე იყო ნაჩვენები და შეხებით აირჩიეთ **დადასტურება**. თუ შემთხვევით არასწორი მნიშვნელობა შეიყვანეთ, შეხებით აირჩიეთ **გაუქმება** და შეიყვანეთ სწორი მნიშვნელობა.
- ☒ სენსორი დაკალიბრებულია.

დაკალიბრების წარუმატებლობის შემთხვევაში, პროცესის განმეორებამდე დაიცადეთ დაახლოებით 15–30 წუთის განმავლობაში. პროცესის განმეორებისას, გამოიყენეთ სისხლში გლუკოზის საზომიდან თქვენი გლუკოზის ახალი მნიშვნელობა.

დაკალიბრებისთვის სისხლში გლუკოზის არასწორი მნიშვნელობის შეყვანის შემთხვევაში, ვერ მოხდება სისტემის სწორი მუშაობის გარანტირება.

თუ დაკალიბრების არასწორ მნიშვნელობას დაადასტურებთ, მისი წაშლა აღარ იქნება შესაძლებელი. მოაცილეთ სენსორი და გამოიყენეთ ახალი.

მთავარი ეკრანი ცენტრალური აპის ეკრანია და აჩვენებს სხვადასხვა ინფორმაციას.



- 1 გლუკოზის მიმდინარე მნიშვნელობის ტექსტური და რიცხვობრივი ჩვენება. ტენდენციის ისარი მიუთითებს მიმდინარე მიმართულებას, რომლისკენაც იხრება თქვენი გლუკოზის მნიშვნელობები:

↑ სწრაფად იმატებს

↗ იმატებს

→ სტაბილურია

↘ ეცემა

↓ სწრაფად ეცემა

- 2 საზომი ერთეული
- 3 ტენდენციის რეჟიმი ან თერაპიის რეჟიმი. წინამდებარე ხატულა სენსორის ამჟამინდელ რეჟიმს მიუთითებს.
- 4 განგაშის სიგნალებისა და შეტყობინებების სტატუსი:



- აჩვენებს ნაუკითხავ შეტყობინებას, რომ მობილური მოწყობილობის შეტყობინებების პარამეტრები ოპტიმალურ მდგომარეობაში არ იმყოფება; შეტყობინების წასაკითხად და პარამეტრების შესაცვლელად, შეეხეთ ხატულას



- აჩვენებს, რომ შეტყობინება წაკითხულია, მაგრამ მობილური მოწყობილობის შეტყობინებების პარამეტრები

კვლავ არ არის ოპტიმალურ მდგომარეობაში; პარამეტრების შესაცვლელად, კვლავ შეეხეთ ხატულას.

- 5 Accu-Chek SmartGuide Predict აპზე გადართვა.
- 6 მთავარი გრაფიკი. მთავარი გრაფიკი ბოლო 3 საათის განმავლობაში თქვენი გლუკოზის მნიშვნელობების გრაფიკული წარმოდგენა არის.
- 7 შეტყობინების არე. შეტყობინების არეალში მიმდინარე მოვლენების მოკლე მიმოხილვაა წარმოდგენილი. მაგალითად, თქვენ მიერ ახალი სენსორის დაწყვილების შემდეგ, მომზადების დროის სავარაუდო ხანგრძლივობა. შესაბამის შეტყობინებაზე რეაგირებისთვის შეეხეთ შეტყობინების არეალში წარმოდგენილ ღილაკებს.

შენიშვნა

როდესაც CGM-ის მნიშვნელობა სცდება მოწყობილობის გაზომვის დიაპაზონს (400 მგ/დლ / 22,2 მმოლ/ლ მაღლა ან 40 მგ/დლ / 2,2 მმოლ/ლ-ზე ნაკლებია), რიცხვითი მნიშვნელობის ნაცვლად აპი HI-ს ან LO-ს აჩვენებს.

ჩანაწერების ჟურნალის თითოეული ჩანაწერი შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მოვლენის თარიღი და დრო
- სისხლში თქვენი საზომიდან გლუკოზის მნიშვნელობა
- მიღებული ნახშირწყლების ოდენობა
- ინსულინის ერთეულების (ბოლუსური და ბაზალური ინსულინის ერთეულები) ოდენობა
- შენიშვნები

ჩანაწერების ჟურნალის ჩანაწერის დამატება

ჩანაწერების ჟურნალის ჩანაწერები შემდეგნაირად შეიძლება დაემატოს:

- 1 შეხებით აირჩიეთ **ჩანაწერის დამატება**.
- ✓ ნაჩვენებია **ახალი ჩანაწერი** ეკრანი.
- 2 შეეხეთ ველს, რომლის რედაქტირებაც გსურთ. ჩანაწერის შენახვამდე, სულ მცირე ერთი ველი უნდა შეავსოთ.
- 3 შეხებით აირჩიეთ **შენახვა**.
- ✓ ჩანაწერების ჟურნალში ახალი ჩანაწერი დაამატეთ. ჩანაწერი მთავარ ეკრანზე, შეტყობინების არეალში, შემდეგი 4 საათის განმავლობაში გამოჩნდება.

ჩანაწერების ჟურნალის ჩანაწერის რედაქტირება

ჩანაწერების ჟურნალის ჩანაწერები შემდეგნაირად შეიძლება რედაქტირდეს:

- 1 შეხებით აირჩიეთ **ჩანაწერების ჟურნალი**.
- 2 შეეხეთ ჩანაწერების ჟურნალის ჩანაწერს.
- 3 შეეხეთ ველებს, რომელთა რედაქტირებაც გსურთ.
- 4 შეხებით აირჩიეთ **შენახვა**.
- ✓ თქვენ მიერ რედაქტირებული ველები შენახულია.

შენიშვნა

ვერ დაარედაქტირებთ ჩანაწერების ჟურნალის იმ ჩანაწერებს, რომლებიც სენსორის დაკალიბრების დროს გამოყენებულ გლუკოზის მნიშვნელობებს შეიცავს.

ჩანაწერების ჟურნალის ჩანაწერის წაშლა

ჩანაწერების ჟურნალის ჩანაწერები შემდეგნაირად შეიძლება წაიშალოს:

- 1 შეხებით აირჩიეთ **ჩანაწერების ჟურნალი**.
- 2 შეეხეთ ჩანაწერების ჟურნალის ჩანაწერს.
- 3 შეხებით აირჩიეთ **ჩანაწერის წაშლა**.
- 4 დაადასტურეთ, რომ ნამდვილად გსურთ ამ ჩანაწერის წაშლა.
- ✓ ჩანაწერების ჟურნალიდან ჩანაწერი წაიშალა.

შენიშვნა

ვერ წაშლით ჩანაწერების ჟურნალის იმ ჩანაწერებს, რომლებიც სენსორის დაკალიბრების დროს გამოყენებულ გლუკოზის მნიშვნელობებს შეიცავს.

11.1 გრაფიკებისა და სტატისტიკის გამოყენება

თქვენი CGM მონაცემების სამედიცინო დარგის სპეციალისტთან განხილვამ შესაძლოა თქვენი დიაბეტის მართვისთვის რიგი მითითებებით უზრუნველგყოთ და თერაპიის რეგულირების პოტენციური არეების პოვნაში დაგეხმაროთ. სხვადასხვა გრაფიკები და სტატისტიკა ღირებული საშუალებაა, რომელიც დიაბეტის მართვის გამართივებაში გეხმარებათ.

ხელმისაწვდომია შემდეგი გრაფიკები:

- **ტენდენციის გრაფიკი**
- **დრო დიაპაზონებში**
- **სტატისტიკა**


11.2 ტენდენციის გრაფიკი

ტენდენციის გრაფიკი არის თქვენი მთავარი ეკრანის გაფართოებული ხედი, რომელიც ჩანაწერების ჟურნალში არსებულ თქვენს ჩანაწერებს მოიცავს. სურვილისამებრ, შეგიძლიათ, აირჩიოთ CGM მონაცემების 6-, 12- ან 24-საათიანი ხედი.

გადაფურცლეთ მარჯვნივ წარსულში არსებული მნიშვნელობების სანახავად ან შეეხეთ კალენდრის ღილაკს კონკრეტულ თარიღზე გადასასვლელად.

მეტი ინფორმაციის სანახავად შეეხეთ გრაფიკში წარმოდგენილ ხატულებს.

-  შენიშვნები
-  ნახშირწყლები
-  ბაზალური ინსულინის ინექციები
-  ბოლუსური ინსულინის ინექციები




- 1 კალენდრის ღილაკი: გაძღვეთ კონკრეტული თარიღის არჩევის საშუალებას.
- 2 მიუთითებს, რომ ნაჩვენებია ტენდენციის გრაფიკი, შეეხეთ, რათა განსხვავებული გრაფიკი აირჩიოთ.
- 3 არჩეული დროის დიაპაზონი
- 4 შენიშვნები
- 5 ნახშირწყლები
- 6 არჩეული დროის დიაპაზონში თქვენი გლუკოზის მნიშვნელობების გრაფიკული წარმოდგენა.
- 7 ბოლუსური და ბაზალური ინსულინის ინექციები
- 8 აირჩიეთ 6, 12 ან 24 საათიანი ხედი
- 9 შეეხეთ ტენდენციის გრაფიკზე მეტი ინფორმაციის სანახავად.

თქვენი ტენდენციის გრაფიკის სანახავად მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

- 1** შეეხებით აირჩიეთ **გრაფიკები**.
- 2** აირჩიეთ **ტენდენციის გრაფიკი** ჩამოშლადი მენიუდან.
- ☒ აისახება **ტენდენციის გრაფიკი**.
- 3** შეეხეთ იმ დროის დიაპაზონს, რომლის გრაფიკზე წარმოდგენაც გსურთ.
 - **6 საათი**
 - **12 საათი**
 - **24 საათი**

11.3 დრო დიაპაზონებში

დრო დიაპაზონის გრაფიკში აჩვენებს, 5 დიაპაზონიდან თითოეულში (ძალიან მაღალი, მაღალი, დიაპაზონში, დაბალი, ძალიან დაბალი) ბოლო 7, 14 ან 28 დღის განმავლობაში, თქვენი გლუკოზის მნიშვნელობების რამდენი პროცენტი იყო.



- 1 მიუთითებს, რომ აისახება გრაფიკი: დრო დიაპაზონებში, შეეხეთ, რათა განსხვავებული გრაფიკი აირჩიოთ.
- 2 არჩეული დროის დიაპაზონი
- 3 ძალიან მაღალი: გლუკოზის პროცენტული მნიშვნელობა, რომელიც თქვენი ძალიან მაღალი გლუკოზის ზღვარზე მაღლა იყო.
- 4 გლუკოზის კომბინირებული პროცენტული მნიშვნელობა, რომელიც თქვენი მაღალი/ძალიან მაღალი გლუკოზის ზღვრებზე მაღლა იყო.
- 5 მაღალი: გლუკოზის პროცენტული მნიშვნელობა, რომელიც თქვენს სამიზნე დიაპაზონზე მაღლა, მაგრამ ამავდროულად ძალიან მაღალი გლუკოზის თქვენს ზღვარზე დაბლა იყო.
- 6 დიაპაზონში: გლუკოზის პროცენტული მნიშვნელობები, რომლებიც სამიზნე დიაპაზონში იყო.
- 7 დაბალი: გლუკოზის პროცენტული მნიშვნელობა, რომელიც თქვენს სამიზნე დიაპაზონზე დაბლა, მაგრამ ამავდროულად ძალიან დაბალი გლუკოზის თქვენს ზღვარზე მაღლა იყო.
- 8 გლუკოზის კომბინირებული პროცენტული მნიშვნელობა, რომელიც თქვენი დაბალი/ძალიან დაბალი გლუკოზის ზღვრებზე დაბლა იყო.


- 9 ძალიან დაბალი: გლუკოზის პროცენტული მნიშვნელობა, რომელიც თქვენი ძალიან დაბალი გლუკოზის ზღვარზე დაბლა იყო.
- 10 იმ დროის ხანგრძლივობა, როდესაც თქვენი გლუკოზის პროცენტული მნიშვნელობა ძალიან დაბალი გლუკოზის ზღვარზე დაბლა იყო.
- 11 აირჩიეთ 7, 14 ან 28 დღიანი ხედი.
- 12 გრაფიკზე შეხებით აირჩიეთ დრო დიაპაზონებში, მეტი ინფორმაციის სანახავად.

გრაფიკზე დიაპაზონებში დროის სანახავად მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

- 1** შეხებით აირჩიეთ **გრაფიკები**.
- 2** აირჩიეთ **დრო დიაპაზონებში** ჩამოშლადი მენიუდან.
- ☒ აისახება **დრო დიაპაზონებში** გრაფიკი.
- 3** შეეხეთ იმ დროის დიაპაზონს, რომლის გრაფიკზე წარმოდგენაც გსურთ.
 - **7 დღე**
 - **14 დღე**
 - **28 დღე**

11.4 სტატისტიკა

სტატისტიკის ანგარიში იძლევა სწრაფ მიმოხილვას იმ ძირითადი ინდიკატორების შესახებ, რომლებიც მოიცავს თქვენს თერაპიას და გლუკოზის მნიშვნელობებს ბოლო 7, 14 ან 28 დღის განმავლობაში.



- 1 მიუთითებს, რომ ნაჩვენებია სტატისტიკის გრაფიკი, შეეხეთ, განსხვავებული გრაფიკის ასარჩევად.
- 2 არჩეული დროის დიაპაზონი
- 3 არჩეულ დროის დიაპაზონში, გლუკოზის საშუალო მნიშვნელობა იმ დღეების განმავლობაში, როდესაც თქვენი სენსორი აქტიური იყო.
- 4 გლუკოზის მართვის ინდიკატორი (GMI) გამოითვლება საშუალო გლუკოზის მიხედვით და აფასებს HbA1c-ს არჩეული დროის დიაპაზონისთვის.
- 5 გლუკოზის ცვალებადობა: მიუთითებს გლუკოზის მნიშვნელობების ცვალებადობის ხარისხს არჩეულ დროის დიაპაზონში.
- 6 აქტიური დღეები: არჩეული დროის დიაპაზონის ფარგლებში გლუკოზის პირველ და ბოლო გაზომვას შორის დღეების ოდენობა.
- 7 არჩეული დროის დიაპაზონში, იმ დროის პროცენტი, რომლის განმავლობაშიც თქვენ სენსორს ატარებდით და იმყოფებოდა აქტიურ მდგომარეობაში.
- 8 აირჩიეთ 7, 14 ან 28 დღიანი ხედი.
- 9 შეეხეთ სტატისტიკის გრაფიკზე მეტი ინფორმაციის სანახავად.

თქვენი სტატისტიკის სანახავად მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

- 1** შეეხებით აირჩიეთ **გრაფიკები**.
- 2** აირჩიეთ **სტატისტიკა** ჩამოშლადი მენიუდან.
- ☒ აისახება **სტატისტიკა** ეკრანი.

3 შეეხეთ იმ დროის დიაპაზონს, რომლის სტატისტიკის ნახვაც გასურთ.

- **7 დღე**
- **14 დღე**
- **28 დღე**

თქვენი CGM-ის სესიის მართვისთვის **CGM სენსორის მართვა** ეკრანი გამოიყენება.

CGM-ის სესია გულისხმობს დროის კონკრეტული მონაკვეთის განმავლობაში გლუკოზის უწყვეტ მონიტორინგს.

ეკრანზე წარმოდგენილი ციფერბლატი სენსორის ვადის გასვლამდე დარჩენილ დროს მიუთითებს.

სენსორის მართვისთვის მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

- 1** შეხებით აირჩიეთ **მენიუ**.
- 2** შეხებით აირჩიეთ **CGM სენსორის მართვა**.
- ☒ ჩნდება **CGM სენსორის მართვა** ეკრანი. აქედან შეგიძლიათ, ნახოთ თქვენი სენსორის სტატუსი, დააწყვილოთ ახალი სენსორი ან იხილოთ სენსორის მოხსნის სახელმძღვანელო.
- ☐ თუ ახალი სენსორის დანყვილება გსურთ, შეხებით აირჩიეთ **ახალი სენსორის დანყვილება**. ახალი სენსორის დანყვილებას მაშინაც კი შეძლებთ, თუ ამჟამად დანყვილებული სენსორის ვადა ჯერ არ გასულა.
- ☐ თუ გსურთ სენსორის მოხსნის სახელმძღვანელოს ნახვა შეხებით აირჩიეთ **სენსორის მოხსნის სახელმძღვანელო**.

13.1 გლუკოზის განგაშის სიგნალები

აპს შეუძლია, გაგაფრთხილოთ, თუ თქვენი გლუკოზის მნიშვნელობები ძალიან მაღალი, დაბალი ან ძალიან დაბალია. ხელმისაწვდომია გლუკოზის შემდეგი განგაშის სიგნალები:

- ძალიან მაღალი გლუკოზის განგაში გაფრთხილებთ, როდესაც თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა გასცდება თქვენი ძალიან მაღალი გლუკოზის ზღვარს.
- ძალიან დაბალი გლუკოზის განგაში გაფრთხილებთ, როდესაც თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა ჩამოსცდება თქვენი ძალიან დაბალი გლუკოზის ზღვარს.
- ძალიან დაბალი გლუკოზის განგაში გაფრთხილებთ, როდესაც თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა 54 მგ/დლ-ს ან 3 მმოლ/ლ-ს ჩამოსცდება. თქვენი უსაფრთხოების მიზნით ძალიან დაბალი გლუკოზის ზღვრის შეცვლა შეუძლებელია.

როდესაც თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა გასცდება ძალიან მაღალი გლუკოზის ზღვარს ან ჩამოსცდება დაბალი გლუკოზის ზღვარს, მხოლოდ ერთ გლუკოზის განგაშის სიგნალს მიიღებთ. თუმცა, ყოველ 5 წუთში ერთხელ კვლავ განაგრძობთ გლუკოზის განგაშის სიგნალის მიღებას, მთელი იმ დროის მანძილზე, რა დროშიც თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა ძალიან დაბალი გლუკოზის ზღვარს მიღმა იქნება. განგაშის სიგნალის მიღების შესაჩერებლად, აგრეთვე შეგიძლიათ დახუროთ იგი.

გლუკოზის განგაში აქტიურია 24 საათის განმავლობაში, თუ განგაშის სიგნალები ძილის დროს ჩართული არ არის.

განგაშის სიგნალები ძილის დროს საშუალებას გაძლევთ, დააყენოთ განგაშის სხვადასხვა დონე ღამის განმავლობაში. ასე ძილის დროს ზედმეტად არ შეწუხდებით.

გლუკოზის ყველა განგაში ნაგულისხმევად აქტიურია, მაგრამ მათი გამორთვა აპის მენიუდან შეგიძლიათ.

თქვენი გლუკოზის განგაშის სიგნალების კონფიგურირებისთვის, მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

1 შეხებით აირჩიეთ **მენიუ**.

2 შეხებით აირჩიეთ **გლუკოზის განგაშის სიგნალები**.

3 სასურველი განგაშის სიგნალების ჩასართავად ან გასათიშად შეეხეთ გადამრთველებს. განგაშის სიგნალები ძილის დროს ჩართვისას, **ძილის დრო** (დანყების დრო) და **გაღვიძების დრო** (დასრულების დრო) **განგაშის სიგნალები ძილის დროს**, 15 წუთიანი ნაბიჯებით შეგიძლიათ დააყენოთ.

შენიშვნა

გლუკოზის ნებისმიერი განგაშის ჩართვის შემთხვევაში, კავშირის დაკარგვის განგაშიც ავტომატურად ჩაირთვება. იხილეთ განყოფილება **სენსორის განგაში კავშირის დაკარგვის თაობაზე**.

4 თითოეული განგაშის სიგნალისთვის შეიყვანეთ შესაბამისი ზღვრები. ნაგულისხმევი მნიშვნელობების შესახებ ინფორმაციისთვის, იხილეთ თავი **დანყება**.

შენიშვნა

თქვენი გლუკოზის განგაშის სიგნალების ნებადართულ ზღვრებზე შესაძლოა გავლენა თქვენმა სამიზნე დიაპაზონის პარამეტრებმა მოახდინოს. მაგალითად, თუ თქვენი სამიზნე დიაპაზონი კონკრეტულ დიაპაზონშია დაყენებული, სამიზნე დიაპაზონის ქვედა მნიშვნელობის გაზრდის გარეშე დაბალი გლუკოზის ზღვარს ველარ დააყენებთ უფრო მაღალ მნიშვნელობაზე.

5 შეხებით აირჩიეთ **შენახვა**.

13.2 სამიზნე დიაპაზონი

სამიზნე დიაპაზონი წარმოადგენს დიაპაზონს, რომლის ფარგლებშიც უნდა იყოს თქვენი გლუკოზის მნიშვნელობები. აპის გრაფიკებში, სამიზნე დიაპაზონი მწვანე არედაა ნაჩვენები.

თითოეული პირისთვის სამიზნე დიაპაზონი შესაძლოა განსხვავდებოდეს. თქვენი ინდივიდუალური სამიზნე დიაპაზონის პარამეტრები განიხილეთ სამედიცინო დარგის სპეციალისტთან.

შენიშვნა

სამიზნე დიაპაზონის მნიშვნელობები არ იწვევს განგაშის სიგნალებსა თუ შეტყობინებებს.

შენიშვნა

თქვენი გლუკოზის განგაშის პარამეტრებმა შესაძლოა სამიზნე დიაპაზონის ნებადართულ მნიშვნელობებზე გავლენა მოახდინოს. მაგალითად, თუ თქვენი დაბალი გლუკოზის განგაშის სიგნალი კონკრეტულ ზღვარზეა დაყენებული, თქვენი დაბალი გლუკოზის განგაშის ზღვრის შეცვლის გარეშე სამიზნე დიაპაზონის დაბალი ზღვრის მნიშვნელობას ვერ შეცვლით.

სამიზნე დიაპაზონის კონფიგურირებისთვის, მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

1 შეხებით აირჩიეთ **მენიუ**.

2 შეხებით აირჩიეთ **სამიზნე დიაპაზონი**.

3 შეიყვანეთ ზედა და ქვედა მნიშვნელობები სამიზნე დიაპაზონისთვის.
თუ საბოლოო ერთეული მგ/დლ-ზეა დაყენებული:

- ნაგულისხმევი ზედა სამიზნე მნიშვნელობაა 180 მგ/დლ (შეგიძლიათ შეიყვანოთ მნიშვნელობა 90 მგ/დლ და 300 მგ/დლ-ს შორის).
- ნაგულისხმევი ქვედა სამიზნე მნიშვნელობაა 70 მგ/დლ (შეგიძლიათ შეიყვანოთ მნიშვნელობა 60 მგ/დლ და 140 მგ/დლ-ს შორის).

თუ საბოლოო ერთეული მმოლ/ლ-ზეა დაყენებული:

- ნაგულისხმევი ზედა სამიზნე მნიშვნელობაა 10,0 მმოლ/ლ (შეგიძლიათ შეიყვანოთ მნიშვნელობა 5,0 მმოლ/ლ და 16,7 მმოლ/ლ-ს შორის).
- ნაგულისხმევი ქვედა სამიზნე მნიშვნელობაა 3,9 მმოლ/ლ (შეგიძლიათ შეიყვანოთ მნიშვნელობა 3,3 მმოლ/ლ და 7,8 მმოლ/ლ-ს შორის).

4 შეხებით აირჩიეთ **შენახვა**.

13.3 საზომი ერთეული

აპისთვის საზომი ერთეულები წინასწარაა არჩეული თქვენს ქვეყანაში გავრცელებული ერთეულების მიხედვით.

უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, გლუკოზის მნიშვნელობებისა და ნახშირწყლების საზომი ერთეულების არჩევას მხოლოდ ერთხელ, თავდაპირველი კონფიგურირებისას შეძლებთ. აღნიშნულის შემდგომ, მხოლოდ არჩეული საზომი ერთეულები აისახება. თუ შეცდომით არასწორი საზომი ერთეული აირჩიეთ, თქვენ აპის დეინსტალაცია და მისი ახლიდან ინსტალაცია დაგჭირდებათ. აპის ახლიდან გაშვების შემთხვევაში საზომი ერთეულების თავიდან არჩევას შეძლებთ.

არჩეული საზომი ერთეულების სანახავად, მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

1 შეხებით აირჩიეთ **მენიუ**.

2 შეხებით აირჩიეთ **საზომი ერთეული**.

✓ თქვენ მიერ პირველად გამოყენებისას არჩეული საზომი ერთეულები აისახება.

14.1 სენსორის ვადის გასვლის შემახსენებლები

აპს შეუძლია, შეგახსენოთ, როდის გჭირდებათ CGM სენსორის შეცვლა.

ვადის გასვლის შემახსენებლის ჩართვისა თუ გამორთვისთვის მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

1 შეხებით აირჩიეთ **მენიუ**.

2 შეხებით აირჩიეთ **სენსორის ვადის გასვლის შემახსენებლები**.

3 სასურველი შემახსენებლების ჩასართავად ან გასათიშად შეეხეთ გადამრთველებს.

სენსორის ვადის გასვლის შემახსენებლები ნაგულისხმევად ჩართულია.

14.2 სენსორის განგაში კავშირის დაკარგვის თაობაზე

სენსორთან კავშირის განწყვეტის შემთხვევაში, კავშირის აღდგენამდე გლუკოზის მნიშვნელობებსა თუ განგაშის სიგნალებს აღარ მიიღებთ. თუ მონაცემთა აპისთვის გადაცემა ვერ მოხერხდება, სენსორი მონაცემებს 8 საათის განმავლობაში შეინახავს. მონაცემთა დაკარგვის თავიდან ასარიდებლად სენსორმა მონაცემების გადაცემა სენსორის ბატარეის დაცლამდე უნდა მოასწროს.

აპს შეუძლია, გაგაფრთხილოთ, როდესაც CGM სენსორთან კავშირი დაიკარგება. ამგვარად, გეძლევათ კავშირის აღდგენისთვის შესაბამისი მოქმედების განხორციელების საშუალება.

განგაშის კავშირის დაკარგვის თაობაზე გამორთვის შემთხვევაში, შესაძლოა გამოტოვოთ ძალიან მაღალი, დაბალი ან ძალიან დაბალი გლუკოზის ეპიზოდები.

სენსორთან კავშირის აღდგენის თაობაზე მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ განყოფილება **ზოგადი უნესივრობათა აღმოფხვრა**.

კავშირის დაკარგვის თაობაზე განგაში ნაგულისხმევად ჩართულია.

შენიშვნა

გლუკოზის განგაშის სიგნალთაგან ნებისმიერის ჩართვისას, განგაში კავშირის დაკარგვის თაობაზე ავტომატურად ჩაირთვება.

განგაშის კავშირის დაკარგვის თაობაზე ჩართვისა თუ გამორთვისთვის, მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

- 1** შეხებით აირჩიეთ **მენიუ**.
- 2** შეხებით აირჩიეთ **სენსორის კავშირის დაკარგვა**.
- 3** **განგაში კავშირის დაკარგვის თაობაზე**-ის ჩასართავად ან გასათიშად შეეხეთ გადამრთველს. აღნიშნული განგაშის გამორთვის შემთხვევაში, გამოჩნდება შეტყობინება, რომელიც გაცნობებთ, რომ თქვენს სენსორთან კავშირის განწყვეტის შემთხვევაში, გლუკოზის განგაშის სიგნალებს აღარ მიიღებთ. კავშირის დაკარგვის თაობაზე განგაშის გათიშვის დასადასტურებლად შეხებით აირჩიეთ **გამორთვა**. თუ გსურთ აღნიშნული მოქმედების გაუქმება, შეხებით აირჩიეთ **გაუქმება**.

15 ანგარიშის პარამეტრები

ანგარიშის პარამეტრებში, შეგიძლიათ მართოთ თქვენი Accu-Chek ანგარიში და კონფიდენციალურობის პარამეტრები, გამოხვიდეთ Accu-Chek ანგარიშიდან ან წაშალოთ იგი.

თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრების მართვისთვის, მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

- 1 შეხებით აირჩიეთ **მენიუ**.
- 2 შეხებით აირჩიეთ **ანგარიში**.
- 3 შეხებით აირჩიეთ **კონფიდენციალურობის პარამეტრები**.
- 4 თანხმობის გასაუქმებლად გამოიყენეთ გადამრთველები.

შენიშვნა

სავალდებულო თანხმობის გაუქმების შემთხვევაში აპის მოხმარებას ვეღარ შეძლებთ.

თქვენი Accu-Chek ანგარიშიდან გამოსვლის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ თავი **Accu-Chek ანგარიში**.

16.1 ანგარიშის შექმნა

თუ არ გაქვთ Accu-Chek ანგარიში, ახალი ანგარიშის შექმნას თქვენი ელფოსტის მისამართის გამოყენებით შეძლებთ.

- 1 შეხებით აირჩიეთ **ანგარიშის შექმნა შესვლა** ეკრანზე.
- 2 შეავსეთ ტექსტის ველები და შეხებით აირჩიეთ **შემდეგი**.
- 3 გაეცანით კონფიდენციალურობისა და იურიდიულ ინფორმაციას. შეხეთ მოსანიშნ უჯრებს, შემდეგ შეხებით აირჩიეთ **შექმნა**, რითაც მიუთითებთ, რომ აღნიშნულ პირობებს ეთანხმებით.
- ✓ დამადასტურებელი ელწერილი თქვენი ელფოსტის მისამართზე გაიგზავნა.
- 4 თქვენი ელფოსტის შემომავალ შეტყობინებებში გახსენით დამადასტურებელი ელწერილი. თუ დამადასტურებელი ელწერილი ჯერ არ მიგიღიათ, შეამოწმეთ სპამის საქალაქი. დამადასტურებელი ელწერილის ხელახლა გამოსაგზავნად აპში შეხებით აირჩიეთ **ელწერილის ხელახლა გაგზავნა**.
- 5 შეხებით აირჩიეთ **დადასტურება** დამადასტურებელ ელწერილში.
- 6 შეხებით აირჩიეთ **შესვლა** ვებ გვერდზე, რომელიც გაიხსნება.
- ✓ თქვენი Accu-Chek ანგარიში მზადაა.

16.2 შესვლა

თქვენს Accu-Chek ანგარიშზე შესასვლელად მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

- 1 შეხებით აირჩიეთ **შესვლა**.
- 2 შეიყვანეთ თქვენი Accu-Chek ანგარიშის ელფოსტის მისამართი და პაროლი.
- 3 შეხებით აირჩიეთ **შესვლა**.
- ✓ ახლა შესული ხართ.

16.3 გამოსვლა

შენიშვნა

ამ აპის გამოსაყენებლად თქვენს Accu-Chek ანგარიშით უნდა შეხვიდეთ. თუ გამოხვალთ, გლუკოზის მნიშვნელობებს ან განგამის სიგნალებს ვერ მიიღებთ.

თქვენი Accu-Chek ანგარიშიდან გამოსასვლელად მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

- 1 შეხებით აირჩიეთ **მენიუ**.
- 2 შეხებით აირჩიეთ **ანგარიში**.
- 3 შეხებით აირჩიეთ **გამოსვლა**.
- ✓ ახლა გამოსული ხართ.

16.4 ანგარიშის წაშლა

თქვენი Accu-Chek ანგარიშის წასაშლელად, მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

16

Accu-Chek ანგარიში

- 1** შეხებით აირჩიეთ **მენიუ**.
- 2** შეხებით აირჩიეთ **ანგარიში**.
- 3** შეხებით აირჩიეთ **ანგარიშის ნაშლა**.
- 4** შეხებით აირჩიეთ **მაინც ნაიშალოს**.
- ☒ ახლა თქვენი ანგარიში ნაშლილია.

გაითვალისწინეთ, რომ Accu-Chek SmartGuide აპს Accu-Chek ანგარიშის გარეშე ვეღარ მოიხმართ.

თქვენი გლუკოზის მნიშვნელობები შესაძლოა რიგი ფაქტორების გამო განსხვავდებოდეს, რაც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- საკვები
- მედიკამენტები
- ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა
- სტრესის დონე
- მოგზაურობა
- ფიზიკური აქტივობა

მეტი ინფორმაციისთვის იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებს აღნიშნული ფაქტორები თქვენი გლუკოზის მნიშვნელობებზე, მიმართეთ თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტს.

18.1 მოვლენათა ჟურნალი

მოვლენათა ჟურნალი შეიცავს ყველა მოვლენას, რომელიც ხდება თქვენი სენსორის გამოყენებისას და დაგეხმარებათ უნესივრობათა აღმოფხვრაში. მსგავსი მოვლენები შესაძლებელია იყოს, მაგალითად, ყველა გასული, მიმდინარე ან არააქტიური განგაშის სიგნალი.

მოვლენათა ჟურნალის სანახავად მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

- 1 შეხებით აირჩიეთ **მენიუ**.
- 2 შეხებით აირჩიეთ **მოვლენათა ჟურნალი**.
- ✓ ყველა გასული მოვლენის ჩამონათვალი აისახება.

18.2 ზოგადი უნესივრობათა აღმოფხვრა

როგორ უნდა მოიქცეთ, თუ აპის მიერ ვერ მოხდება თქვენი სენსორის პოვნა?

ახალი სენსორი მისი დამაგრებიდან 30 წუთის განმავლობაში დაანწყილეთ. 30 წუთის შემდეგ, ბატარეის მუხტის დაზოგვის მიზნით, სენსორს დაწყვილებისთვის მეტი დრო დასჭირდება. თუ აპი სენსორის პოვნას ვერ შეძლებს, შეხებით აირჩიეთ **ხელახლა ცდა** და აპის მიერ თქვენი სენსორის პოვნამდე დაიცადეთ.

ზოგადად, სენსორი აპთან რაც შეიძლება მალე უნდა დაანწყილეთ. როდესაც სენსორი აპს ახლიდან დაუკავშირდება, გამოტოვებულ ინფორმაციას აპი სენსორისგან ავტომატურად მიიღებს.

როგორ უნდა მოიქცეთ, თუ აპის მიერ ვერ მოხდება გლუკოზის მნიშვნელობების ჩვენება?

როგორც ჩანს, შესაძლოა სენსორსა და აპს შორის კავშირი განწყვეტილია.

თუ სენსორთან კავშირი განწყდა, მის აღსადგენად მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

- 1 დარწმუნდით, რომ Bluetooth უსადენო ტექნოლოგიის მეშვეობით კომუნიკაცია ჩართულია.
- 2 სენსორს შეუძლია მობილური მონაცემებისთვის ინფორმაციის 10 მეტრის დიაპაზონში (პირდაპირი ხედვის არეში) გაგზავნა. მობილური მონაცემებისა და თქვენი გარემოს (როგორიცაა ახლომდებარე სხვა მონაცემები) შესაბამისად, რეალური დიაპაზონი შესაძლოა შემცირდეს.
- 3 შეხებით აირჩიეთ **მენიუ > მოვლენათა ჟურნალი** და შეამოწმეთ, აპთან კავშირის განწყვეტამდე სენსორმა მოახდინა თუ არა შეტყობინებისა თუ განგაშის სიგნალის გენერირება. მაგალითად, თუ სენსორის ბატარეა ბოლომდე დამჯდარია, შესაბამის შეტყობინებას მოვლენათა ჟურნალში იხილავთ. მოვლენათა ჟურნალში კავშირის დაკარგვის განგაში გამოჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კავშირი 10 წუთზე მეტხანს იყო განწყვეტილი.

სხვა ფაქტორები, რომლებიც იწვევს CGM-ის მნიშვნელობების ჩვენების შეფერხებას, მოიცავს:

- მიმდინარეობს სენსორის მომზადება
- სენსორი ძალიან თბილი ან ცივია

- CGM-ის სესია დასრულდა / სენსორს ვადა გაუვიდა
- მომხმარებელი აპიდან გამოვიდა

აპი გლუკოზის თქვენს მიმდინარე მნიშვნელობას ყოველ 5 წუთში ერთხელ მიიღებს. თუ აპი გლუკოზის მნიშვნელობებს მოვლენათა ჟურნალში შესაბამისი შეტყობინებისა თუ განგაშის სიგნალის გენერირების გარეშე, 20 წუთზე მეტი დროის განმავლობაში არ ასახავს, დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას და შესაბამისი ინსტრუქციის მიღების შემთხვევაში, მოხსენით სენსორი.

კავშირის დაკარგვის თაობაზე განგაშის შემდეგ კავშირის ახლიდან დამყარებისთვის, იხილეთ განყოფილება **სენსორის განგაში კავშირის დაკარგვის თაობაზე**.

როგორ უნდა მოიქცეთ, თუ ასახული გლუკოზის მნიშვნელობა არ ემთხვევა თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობას?

ნუ დააიგნორებთ დაბალი ან მაღალი გლუკოზის სიმპტომებს და თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტთან კონსულტაციამდე, თერაპიაში თვითნებურად რაიმე ცვლილებას ნუ განახორციელებთ. თუ გლუკოზის მნიშვნელობა არ ემთხვევა თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობას, მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

- 1** შეამოწმეთ სისხლში გლუკოზის დონე სისხლში გლუკოზის საზომის საშუალებით.
- 2** ტესტის არასწორი შედეგის გამოსარიცხად, სისხლში გლუკოზის საზომით განმეორებით ჩაიტარეთ ტესტი.
- 3** თუ სისხლში გლუკოზის საზომით ჩატარებული ტესტების შედეგები განმეორებით არ ემთხვევა თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობას, მიმართეთ თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტს.

როგორ უნდა მოიქცეთ, თუ აპის გაშვება ვერ ხერხდება?

ყოველი გაშვებისას აპი ამისი მონაცემთა ბაზის მთლიანობის შემოწმებას ასრულებს. აპის მიერ მონაცემთა კომპრომეტირების დაფიქსირების შემთხვევაში, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, აპი მოახდენს თვითდეაქტივაციას. აპს მეტად ვეღარ გამოიყენებთ. ამ შემთხვევაში, თქვენი გლუკოზის შესამოწმებლად მიმართეთ ალტერნატიულ მეთოდს და დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას.

18.3 შეტყობინებათა მიმოხილვა

სენსორის სტატუსის, შეცდომებისა თუ მოახლოებული ტექნომსახურების შესახებ თქვენი ინფორმირებისთვის აპი შეტყობინებათა სხვადასხვა ტიპებს იყენებს. ეს შეტყობინებებია:

-  **შეცდომის შეტყობინებები**
-  **ტექნომსახურების შეტყობინებები**
-  **გაფრთხილებები**
-  **ინფორმაცია**
- **შემახსენებლები**

თუ სენსორმა დაკარგა თქვენს მობილურ მოწყობილობასთან კავშირი, სენსორიდან შეტყობინებებს აღარ მიიღებთ.

18.3.1 შეცდომის შეტყობინებები

⊗ აღმოჩენილია ჯეილბრეიკი (iOS მოწყობილობები)

თქვენი მოწყობილობა გატეხილია ჯეილბრეიკით. უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამ ტელეფონზე აპს ვერ გამოიყენებთ.

⊗ აღმოჩენილია დარუთული მოწყობილობა (Android მოწყობილობები)

თქვენი მოწყობილობა დარუთულია. უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამ ტელეფონზე აპს ვერ გამოიყენებთ.

⊗ სენსორმა შეწყვიტა მუშაობა

მოხსენით გამოყენებული CGM სენსორი. გამოიყენეთ ახალი სენსორი და შეეხეთ **ახალი სენსორის დაწყვილება**.

⊗ პროგრამული შეცდომა

შესაძლოა, აპი შეიცვალა. უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით წაშაღეთ აპი და ხელახლა დააინსტალირეთ აპების მაღაზიიდან.

⊗ პროგრამული შეცდომა

გთხოვთ, დახუროთ და ხელახლა გახსნათ აპი. თუ შეცდომა არ გასწორდება, დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდს.

18.3.2 ტექნომსახურების შეტყობინებები

⬠ დაკალიბრება ხელმისაწვდომია

(პირველ დაკალიბრებამდე და პირველი დაკალიბრებიდან 3 საათის შემდეგ): დააკალიბრეთ სენსორი, თუ გსურთ, გამოიყენოთ CGM მნიშვნელობები თერაპიის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორიცაა ინსულინის დოზირება.

(პირველი დაკალიბრებიდან 30 წუთის შემდეგ): დააკალიბრეთ თქვენი სენსორი <HH:MM>-მდე თერაპიის რეჟიმში შესანარჩუნებლად.

⬠ დაკალიბრება მიუწვდომელია

დაკალიბრება მიუწვდომელია. ეს შეიძლება გლუკოზის ან სენსორის ტემპერატურის სწრაფი ცვლილებებით იყოს გამოწვეული. სცადეთ მოგვიანებით.

⬠ დაკალიბრება ვერ მოხერხდა

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ თავი **სენსორის კალიბრაცია**.

⬠ მოულოდნელი დაკალიბრება

აპმა სენსორის მოულოდნელი დაკალიბრება აღმოაჩინა <თარიღი/დრო>. დაადასტურეთ ამ დაკალიბრების შესრულება.

◆ სენსორს ვადა გაუვიდა

მოხსენით გამოყენებული CGM სენსორი. გამოიყენეთ ახალი სენსორი და შეეხეთ **ახალი სენსორის დანყვილება**.

◆ სენსორთან კავშირი დაიკარგა

აპი ვერ ახერხებს CGM სენსორთან კავშირის დამყარებას. დარწმუნდით, რომ Bluetooth ჩართულია და თქვენი მობილური მოწყობილობა ახლოსაა.

აპი CGM სენსორიდან მონაცემებს არ იღებს. გლუკოზის მნიშვნელობებისა და შეტყობინებების მიღების განსაახლებლად გახსენით აპი და გახსნილი დატოვეთ.

◆ სენსორი ზედმეტად ცივია

აპი აღარ იღებს მონაცემებს CGM სენსორიდან, რადგან სენსორის ტემპერატურა ზედმეტად დაბალია. გადადით თბილ გარემოში.

◆ სენსორი ზედმეტად თბილია

აპი აღარ იღებს მონაცემებს CGM სენსორიდან, რადგან სენსორის ტემპერატურა ზედმეტად მაღალია. გადაიტანეთ ის გრილ გარემოში.

◆ გამოსული ხართ

საუკეთესო გამოცდილებისთვის თქვენს Accu-Chek ანგარიშში უნდა შეხვიდეთ.

◆ სენსორის ბატარეა იცლება

მოხსენით გამოყენებული CGM სენსორი. გამოიყენეთ ახალი სენსორი და შეეხეთ **ახალი სენსორის დანყვილება**.

◆ მოწვევა მონაცემების გაზიარებისთვის ჯანმრთელობის შესახებ

თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტს სურს მონაცემებზე წვდომა ჯანმრთელობის შესახებ.

18.3.3 გაფრთხილებები

⚠ ამოცნობილია ძალიან მაღალი გლუკოზა

(როდესაც სენსორი თერაპიის რეჟიმშია): მართეთ თქვენს სისხლში მაღალი გლუკოზა თქვენი სამედიცინო დარგის სპეციალისტის რეკომენდაციით.

(როდესაც სენსორი ტენდენციის რეჟიმშია): დაადასტურეთ გლუკოზის მნიშვნელობა მისი საბოლოო. თუ მაინც ძალიან მაღალია, მართეთ თქვენს სისხლში გლუკოზა სამედიცინო დარგის სპეციალისტის რეკომენდაციით.

⚠ ამოცნობილია დაბალი გლუკოზა

(როდესაც სენსორი თერაპიის რეჟიმშია): განიხილეთ თქვენი სამედიცინო დარგის სპეციალისტის მიერ რეკომენდებული სწრაფი მოქმედების ნახშირწყლების ჭამა ან დალევა.

(როდესაც სენსორი ტენდენციის რეჟიმშია): დაადასტურეთ გლუკოზის მნიშვნელობა მისი საზომით. თუ მაინც დაბალია, განიხილეთ თქვენი სამედიცინო დარგის სპეციალისტის მიერ რეკომენდებული სწრაფი მოქმედების ნახშირწყლების ჭამა ან დალევა.

აღმოჩენილია ძალიან დაბალი გლუკოზა

(როდესაც სენსორი თერაპიის რეჟიმშია): დაუყოვნებლივ მიირთვით ან დალიეთ სწრაფი მოქმედების ნახშირწყლები, როგორც ამას გირჩევთ თქვენი სამედიცინო დარგის სპეციალისტი.

(როდესაც სენსორი ტენდენციის რეჟიმშია): დაადასტურეთ გლუკოზის მნიშვნელობა მისი საზომით. თუ მაინც ძალიან დაბალია, დაუყოვნებლივ მიიღეთ სწრაფი მოქმედების ნახშირწყლები, როგორც გირჩევთ თქვენი სამედიცინო დარგის სპეციალისტი.

18.3.4 ინფორმაცია

ახლა ნაჩვენებია ტენდენციის რეჟიმის მნიშვნელობები

გამოიყენეთ ეს მნიშვნელობები ზოგადი ორიენტირის სახით. თუ გსურთ მნიშვნელობების გამოყენება თერაპიის გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორცაა ინსულინის დოზირება, დააკალიბრეთ <HH:MM>-ის შემდეგ.

დაკალიბრება მალე ხელმისაწვდომი იქნება

დააკალიბრეთ თქვენი სენსორი <HH:MM>-დან და <HH:MM>-მდე თერაპიის რეჟიმში შესანარჩუნებლად.

მოულოდნელი დაკალიბრება

აპმა სენსორის მოულოდნელი დაკალიბრება აღმოაჩინა <თარიღი/დრო>.

18.3.5 შემახსენებლები

CGM სენსორს ვადა ხვალ ეწერება

CGM სენსორი 24 საათის განმავლობაში უნდა შეიცვალოს. ამჟამინდელი სენსორის ვადის ამოწურვამდე ახალი CGM სენსორი გამოიყენეთ.

CGM სენსორს ვადა მალე ეწერება!

CGM სენსორი შეწყვეტს მუშაობას 2 საათის განმავლობაში. მალე გამოიყენეთ ახალი CGM სენსორი!

ინფორმაცია Apple Watch-ზე

თუ iPhone-ს იყენებთ, აპის გამოყენებას შეძლებთ Apple Watch-თან კომბინაციაში.

როგორც კი Apple Watch თქვენს iPhone-ს დაუკავშირდება, Apple Watch-ზე შეძლებთ შემდეგი ინფორმაციის ნახვას:

- გლუკოზის უახლესი მნიშვნელობა
- ტენდენციის ისარი
- ტენდენციის გრაფიკი

გარდა ამისა, ყველა შეცდომის, ტექნოლოგიური შეცდომებისა და გამაფრთხილებელ შეტყობინებას, აგრეთვე შემახსენებლებს პირდაპირ თქვენს Apple Watch-ზე მიიღებთ.


გართულებები

გართულება ვიზუალური ელემენტია, რომლის დამატებაც თქვენი Apple Watch-ის მთავარ ეკრანზე შეგიძლიათ. აღნიშნულ ვიზუალურ ელემენტს მნიშვნელოვანი ინფორმაციის ჩვენება შეუძლია.

Accu-Chek SmartGuide აპის გართულება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- გლუკოზის უახლესი მნიშვნელობა
- ტენდენციის ისარი

- 1** დაიწყეთ წებოვანი პლასტირის მოხსნა სენსორის ბრტყელ გვერდზე.



- 2** შეამოწმეთ სენსორის უკანა მხარე: დარწმუნდით, რომ სენსორის მგრძნობელობითი ელემენტი მისი მოხსნის შემდეგ განთავსების ადგილიდან მთლიანად ამოღებულია. შეამოწმეთ განთავსების ადგილი თითოთ ან ვიზუალურად. თუ მგრძნობელობითი ელემენტი ჩარჩენილია კანში ან განთავსების ადგილი უჩვეულოდ იგრძნობა (მაგალითად, მტკივნეულია, შეშუპებულია ან გაწითლებულია), დაუკავშირდით თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტს.

შენიშვნა

განთავსების ადგილას უჩვეულო შეგრძნება სენსორის მოხსნიდან რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ვლინდება. ამ შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტს.

⚠️ წინასწარი სიფრთხილის ზომა

ინფექციის რისკი

გამოყენებულ კომპონენტებს, რომლებიც შეხებაშია ადამიანის სხეულის სითხეებთან, ინფექციების გადაცემა შეუძლია.

გადაადგეთ სენსორი, როგორც პოტენციურად ინფექციური მასალა, ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

გამოყენებული კომპონენტების სწორად გადაგდების შესახებ ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ადგილობრივ უწყებას ან ხელისუფლების ორგანოს.

შეფუთვის სხვა კომპონენტების უტილიზაცია საოჯახო ნარჩენებთან ერთადაა შესაძლებელი.

სენსორის დაზიანებულმა აპლიკატორმა ან სენსორის ღია ნემსმა შესაძლოა დაზიანება გამოიწვიოს.

ბასრი საგნების უტილიზაცია ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად მოახდინეთ. დარწმუნდით, რომ ბასრი საგნები თქვენ და სხვა პირებს რაიმე ზიანს არ მიაყენებს.

იქედან გამომდინარე, რომ სენსორის გამოყენებისას იგი შესაძლოა ადამიანის ორგანიზმის სითხეებთან კონტაქტში მოვიდეს, არსებობს დაინფიცირების რისკი. მოახდინეთ უტილიზაცია ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად. რადგან სენსორი მხოლოდ ერთჯერადი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი, მასზე 2012/19/EU ევროპის დირექტივის (ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების განკარგვის დირექტივა) მოქმედება არ ვრცელდება.

წინამდებარე პროდუქტი შეიცავს ბატარეას, რომელშიც REACH რეგულაციის შესაბამისად შეიცავს ძალიან მაღალი საფრთხის შემცველ ნივთიერებას (SVHC), 1,2-დიმეთოქსიეთანს (CAS 110-71-4), 0,1%-ზე მაღალი წონითი კონცენტრაციით. ნივთიერებასთან რაიმე სახის პირდაპირი შეხება არ ფიქსირდება, მაშასადამე სენსორის გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად ექსპლუატაციის დროს არავითარი რისკი არ ვლინდება.

დაგვიკავშირდით

თუ პრობლემები შეგექმნათ, გაქვთ შეკითხვები ან Accu-Chek SmartGuide აპის ან მოწყობილობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია გჭირდებათ, დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას. აპში, გადადით **მენიუ > დაგვიკავშირდით**.

სერიოზული ინციდენტების შესახებ მოხსენება

ევროკავშირისა და იდენტური მარეგულირებელი რეჟიმის მქონე ქვეყნებში მყოფი პაციენტების/მომხმარებლების/მესამე მხარისათვის; აღნიშნული მოწყობილობის მოხმარების განმავლობაში ან მისი მოხმარების შედეგად სერიოზული ინციდენტის მოხდენის შემთხვევაში, გთხოვთ მის შესახებ შეატყობინოთ მწარმოებელსა და თქვენი ქვეყნის მარეგულირებელ ორგანოს.

მომხმარებლის სახელმძღვანელოს ბეჭდური ფორმა

თუ ამ მომხმარებლის სახელმძღვანელოს ბეჭდური ვერსიის მიღება გსურთ, დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას. ბეჭდური ვერსია უფასოა და რამდენიმე დღეში გამოგიგზავნით.

მომხმარებლის სახელმძღვანელოს ჩამოტვირთვა

წინამდებარე მომხმარებლის სახელმძღვანელო ჩამოტვირთეთ, როდესაც ინტერნეტთან იქნებით დაკავშირებული და იგი თქვენს მობილურ მოწყობილობაზე შეინახეთ, რათა ისარგებლოთ მაშინ, როდესაც ინტერნეტზე წვდომა არ გექნებათ. ხელმისაწვდომია ამ მომხმარებლის სახელმძღვანელოს ჩამოტვირთვა მისამართიდან:

<https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html>.*

შეფუთვაში არსებული ჩანართის ჩამოტვირთვა

შეფუთვაში არსებული ჩანართის ჩამოტვირთვას შეძლებთ საიტიდან:

<https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html>.*

* ჩამოტვირთვის გამო შესაძლოა დაგეკისროთ მობილური მონაცემების საბონეტო ხარჯები

23 გამოშვების შენიშვნები

თითოეული აპის ვერსიის გამოშვების შენიშვნების ნახვას შესაბამისი აპების მაღაზიაში შეძლებთ.

iOS მოწყობილობები

- 1 შეხებით აირჩიეთ **App Store**.
 - 2 შეხებით აირჩიეთ **ძიება**.
 - 3 მოძებნეთ **Accu-Chek SmartGuide** აპი.
 - 4 ძიების შედეგებიდან აირჩიეთ აპი.
 - 5 შეხებით აირჩიეთ **რა სიახლეებია**.
- ✓ გამოშვების შენიშვნები აისახება.

Android მოწყობილობები

- 1 შეხებით აირჩიეთ **Play Store**.
 - 2 მოძებნეთ **Accu-Chek SmartGuide** აპი.
 - 3 ძიების შედეგებიდან აირჩიეთ აპი.
 - 4 შეხებით აირჩიეთ **რა სიახლეებია**.
- ✓ გამოშვების შენიშვნები აისახება.

24.1 Accu-Chek SmartGuide აპის ტექნიკური მონაცემები

პროდუქტის სახელი

Accu-Chek SmartGuide აპი

პროდუქტის სახელის შესახებ მეტი ინფორმაციისათვის, შეხებით აირჩიეთ **მენიუ > პროდუქტის ინფორმაცია**.

აპის ტიპი

მობილური მოწყობილობებისთვის განკუთვნილი აპლიკაცია

აპის ვერსია

1.1

თქვენ მიერ გამოყენებული აპის ვერსიის შესახებ მეტი ინფორმაციისათვის, შეხებით აირჩიეთ **მენიუ > პროდუქტის ინფორმაცია**.

მხარდაჭერილი ოპერაციული სისტემები

აპი მხოლოდ კონკრეტული ოპერაციული სისტემებისთვისაა ხელმისაწვდომი. აპი გამოიყენეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აპის მიერ ოპერაციული სისტემა მხარდაჭერილია.

თავსებადი ოპერაციული სისტემებისა და მათი ვერსიების შესახებ ბოლო ინფორმაციისათვის, შეხებით აირჩიეთ <https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html>.

მხარდაჭერილი მობილური მოწყობილობები

აპის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენის მობილურ მოწყობილობაზე მხარდაჭერილია iOS-ის ან Android-ის საჭირო ვერსია.

თავსებადი მობილური მოწყობილობების შესახებ უახლესი ინფორმაციისათვის, შეხებით აირჩიეთ <https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html>.

მხარდაჭერილი პლატფორმები

Accu-Chek Care: სრულყოფილად აკავშირებს ერთმანეთთან სამედიცინო დარგის სპეციალისტებსა და დიაბეტის მქონე პირებს.

თავისუფალი სივრცე

აპი CGM-ის სესიასა და ჩანაწერების ჟურნალს იქამდე შეინახავს, სანამ მობილურ მოწყობილობაზე საკმარისი სივრცე იქნება თავისუფალი. საკმარისი თავისუფალი სივრცის არარსებობის შემთხვევაში აპი აღნიშნულის თაობაზე გიგზავნით შეტყობინებას და გიზღუდავთ ახალი სენსორის დანყვილების შესაძლებლობას.

აპის მიერ თქვენს მობილურ მოწყობილობაზე შენახული მონაცემები დაშიფრულია.

გაცვლილი მონაცემები

Roche Diabetes Care-ის ღრუბლოვანი საცავთან აპი შემდეგ ინფორმაციას ცვლის:

- CGM მონაცემები
- ჩანაწერების ჟურნალის მონაცემები
- შეცდომის შეტყობინებები

- ტექნოლოგიების შეტყობინებები
- გაფრთხილებები
- შემახსენებლები
- მომხმარებლის პარამეტრები (მაგალითად, სამიზნე დიაპაზონები ან შემახსენებლები).

ინსტალაციის შემდეგ, აპში შესვლისას, მას Roche Diabetes Care-ს ღრუბლოვანი საცავიდან გასული 6 თვის მონაცემების აღდგენა შეუძლია.

არ გამოიყენოთ აღდგენილი მონაცემები თერაპიის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, როგორიცაა ინსულინის დოზირება. თერაპიასთან დაკავშირებული ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, როგორიცაა ინსულინის დოზირება, მხოლოდ დაკავშირებული სენსორის მიმდინარე მონაცემები გამოიყენეთ.

მუშაობის პრინციპი

Accu-Chek SmartGuide აპი მოქმედებს, როგორც CGM მონაცემთა ძირითადი ეკრანი და მიმღები.

ინტერფეისები

აპს აქვს შემდეგი სისტემის ინტერფეისი:

- მობილური მოწყობილობა: საჭიროებს Bluetooth უსადენო ტექნოლოგიაზე წვდომას.

აპის დაინსტალირების სპეციალური მოთხოვნები

- iOS მოწყობილობები საჭიროებს Apple App Store-ზე წვდომას.
- Android მოწყობილობები საჭიროებს Google Play-ზე წვდომას.

ტექნოლოგიები

ჩამოტვირთეთ და დააინსტალირეთ აპის განახლებები (თუ ხელმისაწვდომია). რეკომენდებულია აპის ავტომატურად განახლების დაყენება.

მოვლენათა ჟურნალი რეგულარულად შეამოწმეთ.

დარწმუნდით, რომ თქვენს მობილურ მოწყობილობაზე საკმარისი თავისუფალი სივრცეა ხელმისაწვდომი.

ჩამოტვირთეთ და დააინსტალირეთ ოპერაციული სისტემის განახლებები (თუ ხელმისაწვდომია). ოპერაციული სისტემის განახლებისთვის მიჰყევით მობილური მოწყობილობის ინსტრუქციას. თუმცა, მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემის ახალ ვერსიაზე განახლებამდე, დარწმუნდით, რომ აპი ოპერაციული სისტემის ახალ ვერსიასთან თავსებადია. თუ კვლავ ორჭოფობთ, შეამოწმეთ თავსებადი მოწყობილობების ჩამონათვალი <https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html>. დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას, თუ კვლავაც საჭიროებთ დახმარებას.

გაზომვის ნაგულისხმები დიაპაზონები და ზღვრები

დიაპაზონები და ზღვრები	მგ/დლ	მმოლ/ლ
ძალიან მაღალი გლუკოზის ზღვარი:	> 250 მგ/დლ	> 13,9 მმოლ/ლ

დიაპაზონები და ზღვრები	მგ/დლ	მმოლ/ლ
მაღალი გლუკოზის დიაპაზონი	$> 180\text{-დან} \leq 250 \text{ მგ/დლ-მდე}$	$> 10,0\text{-დან} \leq 13,9 \text{ მმოლ/ლ-მდე}$
სისხლში გლუკოზის სამიზნე დიაპაზონი (დაბალი გლუკოზიდან მაღალი გლუკოზისაკენ)	$\geq 70\text{-დან} \leq 180 \text{ მგ/დლ-მდე}$	$\geq 3,9\text{-დან} \leq 10,0 \text{ მმოლ/ლ-მდე}$
დაბალი გლუკოზის დიაპაზონი	$\geq 54\text{-დან} < 70 \text{ მგ/დლ-მდე}$	$\geq 3,0\text{-დან} < 3,9 \text{ მმოლ/ლ-მდე}$
ძალიან დაბალი გლუკოზის ზღვარი:	$< 54 \text{ მგ/დლ}$	$< 3,0 \text{ მმოლ/ლ}$

ძალიან დაბალი გლუკოზის ზღვრის გარდა ყველა დიაპაზონი და ზღვარი კონგიფურირებადია.

გლუკოზის განგაშის ზღვრების შესაცვლელად გადადით განყოფილებაში: **მენიუ > გლუკოზის განგაშის სიგნალები.**

სამიზნე დიაპაზონის მნიშვნელობების შესაცვლელად, გადადით განყოფილებაში: **მენიუ > სამიზნე დიაპაზონი.**

სისტემის გაზომვის დიაპაზონია 40 მგ/დლ-დან 400 მგ/დლ-მდე (2,2 მმოლ/ლ-დან 22,2 მმოლ/ლ)-მდე.

24.2 Accu-Chek SmartGuide მონაცემების ტექნიკური მონაცემები

პროდუქტის სახელი

Accu-Chek SmartGuide მონაცემების

მუშაობის პრინციპი

მონაცემების შედგება აპლიკატორისა და სენსორისაგან. სენსორის აპლიკაციის შემდეგ აპლიკატორის უტილიზაცია ხდება, სენსორი კანზე რჩება, ხოლო ელექტროქიმიური სენსორის შეყვანა კანქვეშა ქსოვილში ხდება. ტარების დროის გასვლის შემდეგ, სენსორის უტილიზაცია ხდება.

სენსორის დაკალიბრებისთვის, სისხლში გლუკოზის საზომიდან აღებული გლუკოზის მნიშვნელობა აპში შეიყვანება და სენსორზე იგზავნება. გლუკოზის დონეების უწყვეტი მონიტორინგისთვის, ინტერსტიციული სითხის გლუკოზის მონაცემები სენსორის მიერ აპზე ყოველ 5 წუთში ერთხელ იგზავნება. აპი მუშაობს მობილურ მონაცემებისაგან.

პროდუქტის ზომები

სიმაღლე (მათ შორის წებოვანი პლასტიკი)	დაახლ. 5,9 მმ
ნემსის სიგრძე	დაახლ. 8,2 მმ
წებოვანი პლასტიკის გარეშე სენსორის დიამეტრი	დაახლ. 33,3 მმ
წონა	დაახლ. 5 გ

მონაცემთა გადაცემა

სენსორი აპს გადასცემს შემდეგ ინფორმაციას:

- სერიული ნომერი
- პროგრამული უზრუნველყოფის ვერსია
- აპარატურის ვერსია
- ინფორმაცია სენსორის შესახებ (სისტემის ID / MAC მისამართი)
- შემდეგი დაკალიბრების დრო
- CGM-ის მნიშვნელობები
- სტატუსის ინფორმაცია

სენსორის ტენდენციის რეჟიმში ყოფნისას გენერირებული CGM-ის მნიშვნელობები აისახება სენსორის სტატუსის შეტყობინების ელემენტში „საჭიროა დაკალიბრება“.

სენსორი აპიდან მიიღებს შემდეგ ინფორმაციას:

- დაკალიბრებისთვის სისხლში გლუკოზის მნიშვნელობა
- CGM-ის სესიის დაწყების დრო

კომუნიკაციის ინტერფეისი

ინტერფეისის დანიშნულება	კომუნიკაციის ინტერფეისი. სენსორს აძლევს მობილურ მოწყობილობასთან მონაცემთა გაცვლის უფლებას.
ინტერფეისის ტექნიკური მახასიათებელი	Bluetooth Low Energy 5.0 ან უფრო ახალი ვერსია
რადიოსიხშირის მიღებისა და გადაცემის სიხშირული დიაპაზონი	Bluetooth Low Energy 5.0: 2,402–2,480 გჰც
მოდულაციის მახასიათებლების ტიპი და სიხშირე	GFSK (გაუსის სიხშირული მანიპულაცია)
გადაცემის ეფექტიანი გამოსხივების სიმძლავრე	10 მვტ-ზე ნაკლები
დროის სინქრონიზაციის მეთოდი	სენსორი მობილური მოწყობილობის სინქრონიზაციის ინტერვალების შესაბამისად სინქრონიზდება.
Bluetooth Low Energy-ის დიაპაზონი	10 მ
მობილური მოწყობილობით Bluetooth Low Energy-ს კავშირზე წვდომა	მობილურ მოწყობილობასთან კავშირის დასამყარებლად მასზე Bluetooth Low Energy უნდა იყოს გააქტიურებული.
რადიოსიხშირული დაბრკოლებები	კომუნიკაცია შესაძლოა სხვა რადიოსიხშირულმა მოწყობილობებმა დააბრკოლოს.

ელექტრომაგნიტური თავსებადობა (EMC)

ყველა EMC შემოწმება IEC 60601-1-2:2014, IEC 60601-1-2:2014/AMD1:2020 სტანდარტებთან შესაბამისობის დაცვითაა ჩატარებული.

გაფრთხილება

დაბრკოლებათა რისკი

ელექტრომაგნიტურმა ველებმა და ელექტრომაგნიტურმა რადიაციამ შესაძლოა დააბრკოლოს სენსორის მართებული მუშაობა, რაც შედეგად არასწორ CGM-ის მნიშვნელობებს გამოიწვევს. ტექნიკური მახასიათებლების ფარგლებს მიღმა გამოყენების შემთხვევაში, სენსორმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს სხვა აღჭურვილობაზე (მაგალითად, გადაცემულ Bluetooth სიგნალებზე). გამოიყენეთ სენსორი მხოლოდ და მხოლოდ მისი ტექნიკური მახასიათებლების მასშტაბების დაცვით.

გაფრთხილება

ფუნქციონირების დარღვევის რისკი

სენსორთან ახლოს ან მასზე არ მოათავსოთ სხვა მოწყობილობები. სენსორის სხვა მოწყობილობების პარალელურად გამოყენებამ შესაძლოა მისი არასწორი მუშაობა გამოიწვიოს. თუ მსგავსი გამოყენება საჭიროა, დააკვირდით სენსორსა და სხვა მოწყობილობებს. დარწმუნდით, რომ სენსორი და სხვა მოწყობილობები მიზნობრივად გამოიყენება.

სენსორთან 30 სმ-ზე ახლოს ნუ მიიტანთ რადიოსიხშირული კომუნიკაციის პორტატულ მოწყობილობებს (მათ შორის ისეთ პერიფერიულ მოწყობილობებს, როგორიცაა ანტენის კაბელები ან გარე ანტენები). ამან შესაძლოა სენსორის წარმადობაზე გავლენა მოახდინოს.

ელექტრომაგნიტური ემისიები

სენსორი შეესაბამება ემისიების შემდეგ სტანდარტებს.

გამოსხივებული რადიოსიხშირული ემისია, შემდეგის შესაბამისად:

- CISPR 11 (EN 55011) B კლასი, 1-ლი ჯგუფი
- RTCA DO160G განყოფილება 21, თვითმფრინავის სალონში გამოყენების M კატეგორია

ელექტრომაგნიტური დაბრკოლებებისადმი მდგრადობა

სენსორი შეესაბამება მდგრადობის შემდეგ სტანდარტებსა და დაბრკოლებებისადმი მდგრადობის ტესტის შემდეგ დონეებს.

ელექტროსტატიკური განმუხტვა (IEC 61000-4-2), ტესტის დონე:

- კონტაქტი: ± 2 კვ, ± 4 კვ, ± 6 კვ, ± 8 კვ
- ჰაერი: ± 2 კვ, ± 4 კვ, ± 8 კვ, ± 15 კვ

დასხივებული რადიოსიხშირული ელექტრომაგნიტური ველები (IEC 61000-4-3), ტესტის დონე:

- 10 ვ/მ, 80 მჰც-2,7 გჰც, 80% AM 1 კჰც-ზე

რადიოსიხშირული უსადენო კომუნიკაციის აღჭურვილობის ახლო ველები (IEC 60601-1-2 ცხრილი 9), ტესტის დონე:

ტესტის სიხშირე (მჰც)	დიაპაზონი (მჰც)	სერვისი	მოდულაცია	დაბრკოლებებისადმი მდგრადობის ტესტის დონე (ვ/მ)
385	380-დან 390-მდე	TETRA 400	პულსის მოდულაცია 18 ჰც	27
450	430-დან 470-მდე	GMRS 460, FRS 460	FM ±5 კჰც გადახრა 1 კჰც სინუსი	28
710	704-დან 787-მდე	LTE დიაპაზონი 13, 17	პულსის მოდულაცია 217 ჰც	9
745				
780				
810	800-დან 960-მდე	GSM 800/900, TETRA 800, iDEN 820, CDMA 850, LTE დიაპაზონი 5	პულსის მოდულაცია 18 ჰც	28
870				
930				
1720	1700-დან 1990-მდე	GSM 1800; CDMA 1900; GSM 1900; DECT; LTE დიაპაზონი 1, 3, 4, 25; UMTS	პულსის მოდულაცია 217 ჰც	28
1845				
1970				
2450	2400-დან 2570-მდე	Bluetooth, WLAN, 802.11 b/g/n, RFID 2450, LTE დიაპაზონი 7	პულსის მოდულაცია 217 ჰც	28
5240	5100-დან 5800-მდე	WLAN 802.11 a/n	პულსის მოდულაცია 217 ჰც	9
5500				
5785				

კვების სიხშირის შეფასებული მაგნიტური ველები (IEC 61000-4-8), ტესტის დონე:

- 30 ა/მ, 50 ჰც
- 30 ა/მ, 60 ჰც

გამოსხივებული ველების მიმართ მდგრადობის დადგენა ახლო მანძილზე (IEC 61000-4-39), ტესტის დონე:

- 8 ა/მ, 30 კჰც, CW მოდულაცია
- 65 ა/მ, 134,2 კჰც, მოდულირებული პულსი, დატვირთვის კოეფიციენტი 50%, 2,1 კჰც განმეორების სიხშირე
- 7,5 ა/მ, 13,56 მჰც, მოდულირებული პულსი, დატვირთვის კოეფიციენტი 50%, 50 კჰც განმეორების სიხშირე

დენის დარტყმის მიმართ დაცვა

IEC 60601-1 სტანდარტის შესაბამისი BF ტიპის ელექტრონული მოწყობილობა. დენის დარტყმის მიმართ დაცვა.

სითხეების შეღწევის საწინააღმდეგო დაცვა

IP28: სენსორი დაცულია წყალში 1 მეტრის სიღრმეზე 60 წუთამდე დროის მანძილზე უწყვეტი ჩაძირვის ზემოქმედებისაგან.

სტერილიზაციის მეთოდი

რადიაცია

მაინტერფერირებული ნივთიერებები

სენსორის ტარებისას აღნიშნული მაინტერფერირებული ნივთიერებების მიღებამ შესაძლოა ცრუდ გაზარდოს აპში ნაჩვენები CGM-ის მნიშვნელობები:

- ასკორბინის მჟავა (C ვიტამინი): 500 მგ-ზე მეტი / დღეში, პერორალურად, ან ნებისმიერი ოდენობა ინტრავენურად
- გენტიზურმჟავიანი დანამატები
- მეთილდოპა

ცრუდ გაზრდილმა CGM-ის მნიშვნელობებმა შესაძლოა გამოიწვიოს ინსულინის ზედოზირება და/ან შესაძლოა მხედველობის არიდან გამოგრჩეთ ძალიან დაბალი გლუკოზის მოვლენა. თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმე მაინტერფერირებული ნივთიერებას იღებთ, აღნიშნულის თაობაზე კონსულტაციისთვის სამედიცინო დარგის სპეციალისტს მიმართეთ.

გარემოს პირობები

გაუხსნელ მდგომარეობაში სენსორის ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები:

- ტემპერატურის დიაპაზონი: 2-დან 27 °C-მდე
- ტენიანობის დიაპაზონი: 10-დან 90%-მდე (არამაკონდენსირებელი)
- ატმოსფერული წნევის დიაპაზონი: 549-დან 1060 ჰპა-მდე დარწმუნდით, რომ ნამდვილად გაუხსნელ პროდუქტებს იყენებთ. სენსორი შეფუთვის გახსნისთანავე დაუყოვნებლივ მოათავსეთ.

სენსორის სამუშაო პირობები:

- ტემპერატურის დიაპაზონი: 10-დან 40 °C-მდე
- ტენიანობის დიაპაზონი: 15-დან 90%-მდე
(არამაკონდენსირებელი, წყლის ორთქლის 50 ჰპა-ზე ნაკლები ნაწილობრივი წნევა)
- ატმოსფერული წნევის დიაპაზონი: 700-დან 1060 ჰპა-მდე
- მაქსიმალური სიმაღლე: 3000 მ

CGM მონაცემების შეთბობისთვის საჭირო დრო შენახვის ყველაზე დაბალი ტემპერატურიდან (2 °C) ყველაზე დაბალ სამუშაო ტემპერატურამდე (10 °C) 17 წუთზე ნაკლებს შეადგენს.


სენსორის ზედაპირის ტემპერატურა 43 °C-ზე დაბალი დარჩება და 41 °C-ს მხოლოდ შეზღუდული დროით გადააჭარბებს.

მონაცემები წარმადობის შესახებ

შემდეგი მონაცემების გამოყენების განსახილველად მიმართეთ თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტს.

Accu-Chek SmartGuide სენსორის წარმადობა კონტროლირებულ კლინიკურ კვლევაში (მონაცემები ფაილშია) იქნა შეფასებული. კვლევა 3 კლინიკურ ცენტრში წარიმართა და მასში ჩართული იყო ტიპი 1 ან ინსულინზე დამოკიდებული ტიპი 2 დიაბეტის მქონე (18 წლის ან მეტი ასაკის) 48 ადამიანი. კვლევის თითოეული მონაწილე 14 დღის განმავლობაში მკლავის ზედა ნაწილის უკანა მხარეს სამ სენსორს ატარებდა. კვლევის განმავლობაში ჩატარდა შერჩევის დღეები გლუკოზის მანიპულაციებით, სადაც კაპილარული გლუკოზის გაზომვები გამოიყენებოდა შედარებით მნიშვნელობებად. აღნიშნულ კვლევაში სენსორთა სამი სერიის კვლევა მიმდინარეობდა.

სურათი 1: სენსორის მნიშვნელობათა რეგრესიული ანალიზი კაპილარულ გაზომვებთან შედარებით



a = CGM-ის მნიშვნელობა [მგ/დლ]; **b** = შედარების მნიშვნელობა [მგ/დლ]

ცხრილი 1: რეგრესიის ანალიზი

დახრა	1,02
ლერძის გადაკვეთა	-4,2 მგ/დლ (-0,2 მმოლ/ლ)
კორელაცია (პირსონის კორელაციის კოეფიციენტი r)	0,96
რაოდენობა	15993
დიაპაზონი	40–400 მგ/დლ (2,2–22,2 მმოლ/ლ)
საერთო MARD	9,2%

ცხრილი 2: გლუკოზის სხვადასხვა დიაპაზონებში სენსორის წარმადობა კაპილარულ გაზომვებთან შედარებით

გლუკოზა	საერთო MAD/MARD*
< 54 მგ/დლ (3,0 მმოლ/ლ)	7,5 მგ/დლ (0,42 მმოლ/ლ)*
54–69 მგ/დლ (3,0–3,8 მმოლ/ლ)	7,0 მგ/დლ (0,39 მმოლ/ლ)*
70–180 მგ/დლ (3,9–10,0 მმოლ/ლ)	9,8%
> 180–250 მგ/დლ (10,0–13,9 მმოლ/ლ)	8,0%
> 250–350 მგ/დლ (13,9–19,4 მმოლ/ლ)	7,3%
> 350 მგ/დლ (19,4 მმოლ/ლ)	4,9%
* გლუკოზისთვის < 70 მგ/დლ (3,9 მმოლ/ლ), ცვლილებები მგ/დლ-შია (მმოლ/ლ) წარმოდგენილი, ნაცვლად ფარდობითი სხვაობებისა (%).	

შენიშვნა

MARD (საშუალო აბსოლუტური ფარდობითი სხვაობა) სისხლში გლუკოზის ერთდროულად გაზომილი CGM-ის მნიშვნელობების აბსოლუტური ფარდობითი სხვაობის საშუალოს წარმოადგენს. MARD შემდეგნაირად განისაზღვრება:

- სისხლში გლუკოზის ერთდროულად გაზომილი მნიშვნელობა აკლდება გლუკოზის უწყვეტ მნიშვნელობას. სხვაობის აბსოლუტური მოცულობა სისხლში გლუკოზის მნიშვნელობასთან პროცენტულ დამოკიდებულებაში კონვერტირდება. მნიშვნელობათა ყველა წყვილის პროცენტული მაჩვენებელი ერთად ჯამდება და მიღებული შედეგი მნიშვნელობათა წყვილთა რაოდენობაზე (n) გაიყოფა.

MAD (საშუალო აბსოლუტური სხვაობა) სისხლში გლუკოზის ერთდროულად გაზომილი CGM-ის მნიშვნელობების აბსოლუტური სხვაობის საშუალოს წარმოადგენს. MAD შემდეგნაირად განისაზღვრება:

- სისხლში გლუკოზის ერთდროულად გაზომილი მნიშვნელობა აკლდება გლუკოზის უწყვეტ მნიშვნელობას და იღებენ სხვაობის აბსოლუტურ მნიშვნელობას. მნიშვნელობათა ყველა წყვილის რიცხვითი მაჩვენებელი ერთად ჯამდება და მიღებული შედეგი მნიშვნელობათა წყვილთა რაოდენობაზე (n) გაიყოფა.

ცხრილი 3: სენსორის ტარების დროის განმავლობაში სენსორის წარმადობა კაპილარულ გაზომვებთან შედარებით

	დასაწყისი	შუა	დასასრული
საერთო MARD	8,3%	9,0%	10,8%

ცხრილი 4: სენსორის წარმადობა შეთანხმების სიჩქარეების მიხედვით

	წყვილ- თა საე- რთო რაო- დე- ნობა	კაპილა- რული გაზო- მვების ± 15 მგ/დლ ($\pm 0,8$ მმოლ/ლ) და $\pm 15\%$ ფარ- გლებში	კაპილა- რული გაზო- მვების ± 20 მგ/დლ ($\pm 1,1$ მმოლ/ ლ) და $\pm 20\%$ ფარ- გლებში	კაპილა- რული გაზო- მვების ± 30 მგ/დლ ($\pm 1,7$ მმოლ/ ლ) და $\pm 30\%$ ფარ- გლებში	კაპილა- რული გაზო- მვების ± 40 მგ/ დლ ($\pm 2,2$ მმოლ/ ლ) და $\pm 40\%$ ფარ- გლებში
სენსორის საერთო წარმა- დობა	15993	13345 (83,4%)	14471 (90,5%)	15510 (97,0%)	15803 (98,8%)

სენსორის წარმა- დობა < 70 მგ/ დღ-ზე (3,9 მმოლ/ ლ-ზე)	1121	998 (89,0%)	1057 (94,3%)	1112 (99,2%)	1118 (99,7%)
სენსორის წარმა- დობა 70-180 მგ/ დღ-ზე (3,9-10,0 მმოლ/ ლ-ზე)	9793	7923 (80,9%)	8718 (89,0%)	9444 (96,4%)	9660 (98,6%)
სენსორის წარმა- დობა > 180 მგ/ დღ-ზე (10,0 მმოლ/ ლ-ზე)	5079	4424 (87,1%)	4696 (92,5%)	4954 (97,5%)	5025 (98,9%)

გაითვალისწინეთ, რომ წარმადობის შესახებ ნაჩვენები ყველა მონაცემი წარმოადგენს სენსორიდან თერაპიის რეჟიმში მიღებულ მონაცემებს. აღწერილ კვლევაში, ტენდენციის რეჟიმში მყოფმა სენსორებმა საერთო MARD 10,2% აჩვენა. ინსულინის დოზირების შესახებ გადაწყვეტილებები მხოლოდ თერაპიის რეჟიმშია შესაძლებელი. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ თავი **სენსორის კალიბრაცია**.

გვერდითი მოვლენები

კვლევის მსვლელობაში არავითარი გვერდითი მოვლენა ან მოწყობილობასთან დაკავშირებული სერიოზული გვერდითი მოვლენა არ დაფიქსირებულა. კვლევის განმავლობაში სულ 35 გვერდითი მოვლენა გამოვლინდა. მათგან, 15 მოწყობილობასთან დაკავშირებულად ან შესაძლო დაკავშირებულად ჩაითვალა. 15-ვე გვერდითი მოვლენა დაკავშირებული იყო განთავსების ადგილის რეაქციებთან, როგორიცაა ხანმოკლე სისხლდენა, ტკივილი, ჰემატომა, სინითლე, მსუბუქი ანთება ან ქავილი.

© 2025 Roche Diabetes Care

Roche Diabetes Care GmbH

Sandhofer Strasse 116

68305 Mannheim, Germany

www.accu-chek.com

ლიცენზირებულია Apache License-ით, ვერსია 2.0 („ლიცენზია“); არ გაქვთ წინამდებარე ფაილის რაიმე სხვა ფორმით გამოყენების უფლება, გარდა ლიცენზიასთან შესაბამისი ფორმებისა.

ლიცენზიის ასლის მიღებას შეძლებთ შემდეგ მისამართზე

<http://www.apache.org/licenses/LICENSE-2.0>

თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვაგვარად არაა მოთხოვნილი ან არ არსებობს წერილობითი შეთანხმება, ლიცენზიის ფარგლებში განაწილებული პროგრამული უზრუნველყოფა ზიარდება „როგორც არის“ პირობის საფუძველზე, რაიმე სახის გამოხატული თუ ნაგულისხმები გარანტიისა თუ პირობის გარეშე. კონკრეტული წესები, რომლებიც ლიცენზიის შესაბამისად ნებართვებსა და შეზღუდვებს არეგულირებს, იხილეთ წინამდებარე ლიცენზიაში.

დაკალიბრება

სენსორის სიზუსტის გასაუმჯობესებლად სისხლში გლუკოზის საზომის ტესტიდან აპში გლუკოზის მნიშვნელობის შეყვანა. აღნიშნული მოქმედება აუცილებელია მკლავზე ყოველი ახალი სენსორის მოთავსებისა და აპთან მისი დაკავშირების შემდეგ. ეს საშუალებას გვაძლევს სენსორის მეშვეობით მიღებული მონაცემები გამოვიყენოთ თერაპიის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორიცაა ინსულინის დოზირება.

დაკალიბრების მნიშვნელობები

სენსორის სიზუსტის გასაუმჯობესებლად გლუკოზის მიმდინარე მნიშვნელობები სისხლში გლუკოზის საზომის ტესტიდანაა აღებული და შეყვანილია აპში. ეს საშუალებას გვაძლევს სენსორის მეშვეობით მიღებული მონაცემები გამოვიყენოთ თერაპიის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორიცაა ინსულინის დოზირება.

მაინტერფერირებული ნივთიერება

სპეციფიური ნივთიერება (მედიკამენტი ან საკვებში, მაგალითად), რომლის შეყვანის შემდეგაც უარყოფითად იმოქმედებს გლუკოზის მნიშვნელობათა სიზუსტეზე.

ინტერსტიციული სითხის გლუკოზა

კანქვეშა ქსოვილის უჯრედების ირგვლივ სითხის თხელ ფენაში არსებული გლუკოზა.

მგ/დლ (მილიგრამი ერთ დეცილიტრში)

მგ/დლ მიუთითებს იმას, თუ რამდენი ნაწილაკი (გლუკოზა) არის დეცილიტრ წონაში წარმოდგენილი. იგი წონის მაჩვენებელია.

მგ/დლ-ს ხშირად იყენებენ არგენტინაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ბრაზილიაში, ჩილეში, კოლუმბიაში, კვიპროსზე, ეგვიპტეში, საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, ინდოეთში, ირანში, ისრაელში, იტალიაში, იაპონიაში, ლუქსემბურგში, მექსიკაში, ახალ ზელანდიაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, რუმინეთში, სამხრეთ კორეაში, ესპანეთში, ტაივანში, ტაილანდში, თურქეთში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მმოლ/ლ (მილიმოლი ერთ ლიტრში)

მმოლ/ლ მიანიშნებს თითო ლიტრში ნაწილაკთა საერთო რაოდენობაზე. იგი წარმოადგენს 1 ლიტრში ნივთიერების რაოდენობის მაჩვენებელს.

მმოლ/ლ ხშირად გამოიყენება ავსტრალიაში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ბულგარეთში, კანადაში, ჩინეთში, ხორვატიაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, დანიაში, ესტონეთში, ფინეთში, გერმანიაში, უნგრეთში, ყაზახეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მალაიზიაში, ნიდერლანდებში, ჩრდილოეთ მაკედონიაში, ნორვეგიაში, რუსეთში, სერბეთში, სინგაპურში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, შვედეთში, შვეიცარიაში, სამხრეთ აფრიკაში, გაერთიანებული სამეფოში.

მობილური მონაცემების

სმარტფონი ან პლანშეტური კომპიუტერი, რომელსაც შეუძლია აპის გაშვება.

გადაწყვეტილება თერაპიის თაობაზე

ნებისმიერი მკურნალობა, რომელიც სრულდება ან ტარდება პირის გლუკოზის მნიშვნელობების ნორმალურ დონეებამდე დასაბრუნებლად ან აღნიშნულ საზღვრებში შესანარჩუნებლად.

თერაპიის რეჟიმი

სენსორის სტატუსი მომხმარებლის მიერ დაკალიბრების ჩატარების შემდეგ. ამ სტატუსში, CGM მნიშვნელობები შეიძლება გამოყენებულ იქნეს თერაპიის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორიცაა ინსულინის დოზირება.

ტენდენციის რეჟიმი

სენსორის სტატუსი მომხმარებლის მიერ დაკალიბრების ჩატარებამდე. ამ სტატუსში, CGM-ის მნიშვნელობები ტენდენციების განსაზღვრისთვის მხოლოდ ზოგადი ორიენტირის სახით შეიძლება იქნას გამოყენებული.

BE: პურის ერთეული

ნახშირწყლების დასათვლელი საზომი ერთეული. 1 BE უდრის 12 გ-ს.

CC: ნახშირწყლების არჩევანი

ნახშირწყლების დასათვლელი საზომი ერთეული. 1 CC უდრის 15 გ-ს.

CGM: გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგი

გლუკოზის დონეების კანქვეშ მოთავსებული მცირე ზომის სენსორის საშუალებით გაზომვისა და გლუკოზის აღნიშნული დონეების აპში საჩვენებელი სისტემა.

გ: გრამი

მასის მეტრული ერთეული კილოგრამის ერთი მეათასედის ტოლია.

GMI: გლუკოზის მართვის ინდიკატორი

აღნიშნული მნიშვნელობა თქვენი საშუალო გლუკოზიდან გამოითვლება და თქვენი HbA1c-ის მიახლოებით მნიშვნელობას წარმოადგენს.

KE: ნახშირწყლების ერთეული

ნახშირწყლების დასათვლელი საზომი ერთეული. 1 KE უდრის 10 გ-ს.

MAD: საშუალო აბსოლუტური გადახრა

სისხლში გლუკოზის ერთდროულად გაზომილი უწყვეტი გლუკოზის მნიშვნელობების აბსოლუტური სხვაობის საშუალოს წარმოადგენს.

MARD: საშუალო აბსოლუტური ფარდობითი სხვაობა

სისხლში გლუკოზის ერთდროულად გაზომილი უწყვეტი გლუკოზის მნიშვნელობების აბსოლუტური ფარდობითი სხვაობის საშუალოს წარმოადგენს.

OS: ოპერაციული სისტემა

იმ პროგრამულ უზრუნველყოფათა ნაკრები, რომლითაც იმართება კომპიუტერისა და მობილური მოწყობილობის ტექნიკური რესურსები და რომლებიც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამებისა და აპების საერთო მომსახურებას.

U: ერთეულები

ფიზიკური რაოდენობის გაზომვის სტანდარტი.

სიმბოლო	აღწერილობა
აპში ნავიგაცია	
	მთავარი
	ჩანაწერების ჟურნალი
	ჩანაწერის დამატება
	გრაფიკები
	მენიუ
ეკრანზე ნავიგაცია	
	უკან
	დახურვა
	მოსანიშნი ველი
	ჩამოშლადი მენიუ
	დამატებითი ინფორმაცია
აპის მენიუ	
	CGM სენსორის მართვა
	მოვლენათა ჟურნალი

სიმბოლო	აღწერილობა
	გლუკოზის განგაშის სიგნალები
	სამიზნე დიაპაზონი
	საბოში ერთეული
	კრიტიკული გაფრთხილებები
	სენსორის ვადის გასვლის შემახსენებლები
	სენსორის კავშირის დაკარგვა
	ანგარიში
	მომხმარებლის სახელმძღვანელო
	გამოყენების დაწყების მოკლე სახელმძღვანელო
	პროდუქტის ინფორმაცია
	დაგვიკავშირდით
მთავარი ეკრანი	
	აჩვენებს წაუკითხავ შეტყობინებას, რომ მობილური მოწყობილობის შეტყობინებების პარამეტრები ოპტიმალურ მდგომარეობაში არ იმყოფება


სიმბოლო	აღწერილობა
	აჩვენებს, რომ შეტყობინება ნაკითხულია, მაგრამ მობილური მოწყობილობის შეტყობინების პარამეტრები კვლავ არ არის ოპტიმალურ მდგომარეობაში
	Accu-Chek SmartGuide Predict აპზე გადართვა
	ტენდენციის ისარი: თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა სწრაფად იმატებს
	ტენდენციის ისარი: თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა იმატებს
	ტენდენციის ისარი: თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა სტაბილურია
	ტენდენციის ისარი: თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა ეცემა
	ტენდენციის ისარი: თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა სწრაფად ეცემა
	ინფორმაცია
	CGM სენსორი მზადდება
	შეცდომის შეტყობინება
	ტექნოლოგიების შეტყობინებები
	გამაფრთხილებელი შეტყობინება
გრაფიკები	

სიმბოლო	აღწერილობა
	ბაზალური ინსულინის ინექცია
	ბოლუსური ინსულინის ინექცია
	ნახშირწყლების ოდენობა
	შენიშვნები
	კალენდარი
გლუკოზის განგაშის სიგნალები	
	განგაშის სიგნალები მთელი დღე / განგაშის სიგნალები მღვიძარე მდგომარეობაში
	განგაშის სიგნალები ძილის დროს
ჩანაწერების ჟურნალი	
	გამომდინარე იქიდან, რომ ჩანაწერების ჟურნალი სენსორის დაკალიბრების დროს იქნა გამოყენებული, მისი რედაქტირება ან წაშლა შეუძლებელია.

29 სიმბოლოთა განმარტებები

მოწყობილობასა და შეფუთვაზე აისახება შემდეგი სიმბოლოები:

სიმბოლო	აღწერილობა
	გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას ან გამოყენების ელექტრონულ ინსტრუქციას
	მიჰყევით გამოყენების ინსტრუქციას (ლურჯი სიმბოლო)
	ტემპერატურის ზღვარი
	ტენიანობის შეზღუდვა
	ატმოსფერული წნევის შეზღუდვა
	გამოიყენეთ შემდეგ თარიღამდე
	ნუ გამოიყენებთ, თუ შეფუთვა დაზიანებულია
	დასხივებით სტერილიზებული
	გამოიყენეთ ერთჯერადად
IP28	მოწყობილობა დაცულია საფრთხის შემცველ ნაწილებზე თითოთი წვდომისგან და დაცულია წყალში (1 მეტრის სიღრმეზე 60 წუთამდე დროის მანძილზე) ხანგრძლივი ჩაძირვის ზემოქმედებისგან.
	IEC 60601-1 სტანდარტის შესაბამისი BF ტიპის ელექტრონული მოწყობილობა. დენის დარტყმის მიმართ დაცვა.

სიმბოლო	აღწერილობა
	წარმოების თარიღი
	სამედიცინო მოწყობილობა
	მწარმოებელი
	მიანიშნებს შვეიცარიაში ავტორიზებულ წარმომადგენელზე
	მოწყობილობის უნიკალური იდენტიფიკატორი
	კატალოგის ნომერი
	სერიული ნომერი
	პარტიის კოდი
	შეესაბამება ევროკავშირის მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს
	მხოლოდ ესპანეთსა და პორტუგალიისთვის: აღნიშნული სიმბოლო მიუთითებს ესპანეთისა და პორტუგალიის ნარჩენების განკარგვის შესაბამის ადგილობრივ ინსტრუქციას.
	შესაბამისობის ნიშანი მიუთითებს, რომ პროდუქტი შეესაბამება მოქმედ სტანდარტს და ქმნის თვალსაჩინო კავშირს აღჭურვილობასა და მწარმოებელს, იმპორტიორს ან მათ აგენტს შორის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან შესაბამისობის დაცვაზე და ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ბაზარზე მის განთავსებაზე.

სიმბოლო	აღნიშვნა
	ეს პროდუქტი შეიცავს ლილაკის ფორმის ბატარეას.
	წინამდებარე პროდუქტი აკმაყოფილებს სამხრეთ აფრიკის დამოუკიდებელი კომუნიკაციების მარეგულირებლის მოთხოვნებს.

ACCU-CHEK და ACCU-CHEK SMARTGUIDE Roche-ის სავაჭრო ნიშნებია.
Apple Watch, watchOS და iPhone წარმოადგენს Apple Inc.-ის რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნებს აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.
App Store წარმოადგენს Apple Inc.-ის რეგისტრირებულ სერვისის ნიშანს აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.
IOS წარმოადგენს სავაჭრო ნიშანს ან Cisco-ს რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.
Android, Google Play და Google Play ლოგოები წარმოადგენს Google LLC-ის სავაჭრო ნიშნებს.
Bluetooth® სიტყვიერი აღნიშვნა და ლოგოები წარმოადგენს Bluetooth SIG, Inc.-ის მფლობელობაში არსებულ რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნებს და ასეთი ნიშნების Roche-ს მიერ ნებისმიერი გამოყენება ლიცენზირებულია.
ყველა სხვა პროდუქტის სახელი და სავაჭრო ნიშანი მათი შესაბამისი მფლობელების საკუთრებაა.

© 2024 Roche Diabetes Care



Roche Diabetes Care GmbH
Sandhofer Strasse 116
68305 Mannheim, Germany

www.accu-chek.com



ბოლო განახლება: 2024-07
1000088571(01)